გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№410 (469) 18 ივლისი-1 აგვისტო 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: მძიმე დემოგრაფიული სურათი

გვ.3

## მართლა სულელია, ეს არაკაცი! ამბავი ესე მელიასა და მისი კრიმინალური საქმოსი

გვ.5



## ლუარა სორდია: მერაბ კოსტავას პოეზია

გვ.2

## თენგიზ კუბლაშვილი: მურასალავაშებით დაგეშილნი

გვ.6

## იზა თამაზაშვილი: დასავლური შიზოფრენია და ქართული რეალობა

გვ.7

## ჯაბა ხუბუა: ტრულეილას ქმარი რად უნდა...

გვ.7

## მეგი ასლამაზოვის პარიზული არდადეგები

გვ,8



## ბატონი რეზო გაბრიაძე 81 წლისაა

გვ.8



გვ.4

## ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

## სერგი საჯაია: ბორჯი ქართველთა ქუდზეკაცობისა, ანუ მწუხრისბჭობანი ბატონ თამაზ ნივნივაძის საფიხვნოსათვის

გვ.9-10

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერაბ კოსტავას პოეზია

*გაგრძელება წინა ნომრიდან*

მართლაც, დემონი ერთმნიშვნელოვანი ცნება არ არის გალაკტიონთან, იგი ხან გენიალობის, ხან ბოროტების სიმბოლოა.

გალაკტიონი, ლექსის ავტორის თქმით, იყო **"შემმეცნებელი მეფისტოფელის"**, ლოცვით, ღმერთის სასწაულის ძალით, ბოროტების გაკეთილშობილების, მისი შენდობის მთხოვნელი.

პოეტების მეფის შემოქმედების მთავარი მიზანი იყო **"სულის წრთობა"**, ერის ზიარება სიმაღლეებთან, მამულის გრძნობით ავსება, ეროვნული იდეოლოგიის სამსახური: **"მამულის გრძნობით შენგან ავივსეთ, ვცანით ვით მადლის სულში ჩადგომა, მისი მაისი, მისი აპრილი, მისი მკათათვე და შემოდგომა"** (1,146).

ლექსში ხაზგასმულია **"ჰადესში ჭვრეტის"** უნარი, **"სულეთის სიღრმის"** განცდა, რაც არ ახასიათებდათ არც ლადო ასათიანს, არც ნიკო სამადაშვილს, არც გიორგი ლეონიძეს, აქ მხოლოდ **"მემენტო მორის"** ავტორთან კეთდება პარალელი. გალაკტიონმა ახლებურად შეხედა სიკვდილის პრობლემას, **"მესამე გზას"**, რაც სულით სპეტაკთა მარადიულ სახლში დაბრუნებას, უკვდავებას გულისხმობს.

**"არტისტული ყვავილების"** ავტორის გამორჩეულობას განაპირობებდა საღვთო მუსიკის, ზეციური მუსიკის, კოსმიური რიტმის მოსმენის და გათავისების უნარი, ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენები...

სიტყვის ჯადოქარი ადამიანური შესაძლებლობების გაფართოებისთვის, საზღვრის მიღმა, სივრცეებს იქით, კოსმიურისკენ ესწრაფვოდა. ის თვით იყო გალაქტიკები, მესიური მასშტაბების, მაკროკოსმიური, ზოდიაქალურ ველებში გაჭრილი, ზესთასიმაღლეს ნაზიარები, სულის წრფობის, სულის განწმენდის, კათარზისის, რწმენის განტკიცების მისიით მოვლინებული, **"სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციით"** გატაცებული.

გალაკტიონი სამყაროს საცნაურმყოფელია, სივრცეებს მიღმა მიმსწრაფი, თავად კოსმოსად სახელდებული: **"...გაიერთსახე, რაიც დაჰყავი, როცა სამყარო საცნაურ ჰყავი, როს სულის წრთობას ხელი მიჰყავი, რადგან კოსმოსი თავად იყავი"** (1,159).

ადამიანი შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა, ღმერთმა იგი სულით დაიმსგავსა, ამიტომ მიწიერთა სული უკიდეგანოა და მთელი სამყაროს დამტევია: **"ადამიანი არის მცირე ქვეყნიერება"** (წმინდა იოანე დამასკელი) (14,362).

პოეტურ პარნასს გალაკტიონი ქართული სულით მიეახლა.

როგორც ნოვატორმა და რეფორმატორმა, შორს გასწია მხატვრული სიტყვის შესაძლებლობები და რუსეთს, ევროპას გააცნო და დააწია ეროვნული პოეტური გონი.

**"ლურჯა ცხენების"** ავტორის მახასიათებელია ამირანის შემართება, ყაზბეგის სიდიადე, ჩინარის სიმაღლე, მუხის ძლიერება და განმარტოებულობა.

**"პოეტების მეფე"** წარმოგვიდგება, როგორც **"ევერესტივით ნისლმოხვეული"**, ანუ თანამედროვეთათვის შეუცნობელი, მაკროკოსმიური არსება.

მერაბ კოსტავას გალაქტიონი ესახებოდა, როგორც **"ჯადოქრულ სიტყვის ალფა, ომეგა, საჭეთმპყრობელი და წარმმართველი", "ქართული სიტყვის ოქრომჭედელი", რუსთაველის ჯუფთი"** გენია.

დავიწყებული არ არის სატანური ხელისუფლების წვლილი პოეტის თვითმკვლელობაში, **"საქმენი ბარბაროსის"**, რომელიც ვერ იგუებდა მაღალთ, მართალთ, რომელმაც გენიოსის დაშინების და დათრგუნვის მიზნით ციმბირში გადაასახლა პოეტის უდანაშაულო მეუღლე – ოლია ოკუჯავა.

ლექსში პოეტი სახელდებულია, როგორც **"საქართველოს თვალის სინათლე"**, რომლის უკიდეგანო, უსახლო სულმა დამსახურებულად დაივანა სიმართლის მარადიულ სახლში: **"შენ, საქართველოს თვალის სინათლევ, ხომ მოიპოვე, რაიც ინატრე, დაუსაბამო სახლი სიმართლის, მიუსაფართა თავშესაფარი"** (გალაკტიონი) (1,161).

## გამოყენებული ლიტერატურა


მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990.

ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.

იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბ. 2000.

ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I.

ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II.

გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982

ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996.

პლატონი, ნადიმი, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, თბ. 1964.

აღმოსავლური პოეზია, თამაზ ჩხენკელის თარგმანი, თბ. 1964.

ზვიად გამსახურდია, **"ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება"**, თბ. 1990.

დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ. 1941.

მარადი დღე, თბ. 1987.

ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ. 1990.

ლუარა სორდია, ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ. 2009.


## "სამების მძლე სიყვარული"

მერაბ კოსტავამ ტოტალიტარულ, ათეისტურ ეპოქაში იცხოვრა, რომელსაც **"მეფისტოფელის საუკუნეს"** უწოდებდა გალაკტიონ ტაბიძე.

მიუხედავად იმისა, რომ რწმენა ჩამორჩენილობად და პოლიტიკურ ბრალდებადაც იქცეოდა ხოლმე საბჭოთა იმპერიაში, ერის ღირსეულ შვილებს კავშირი არ გაუწყვეტიათ უზენაეს საწყისებთან. აანალიზებდნენ რა ქვეყნის ტრაგედიის მიზეზებს, ხალხის ჭეშმარიტი ჭირისუფლები ყოველგვარი უბედურების მიზეზებს ურწმუნოებაში ხედავდნენ.

მერაბ კოსტავას მოღვაწეობის და შემოქმედების წინამძღვარი იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობა, ღმერთის რანგში გააზრებული სამშობლო. მხატვრული სიტყვის მისიას პოეტი რწმენის მსახურებაში, ხალხისთვის ტაძრის გზის ჩვენებაში, სულიერების, ეროვნული იდეალების ერთგულებაში ხედავდა. საღვთო იყო მისი გზა, ზნეობა, ჰანგი. **"საუფლო გულის", "უმაღლესი მისანი"** გამუდმებით ეწაფებოდა **"რელიგიის ზედაშეს", "იდუმალების წყაროს",** ნებაყოფლობით იყო **"საღვთო ზვარაკი"**.

უპირველესი ადგილი უკავია მერაბ კოსტავას შემოქმედებაში საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის იდეას. მის სიტყვას და საქმეს წარმართავდა **"სამების მძლე სიყვარული, უდრეკ ზღუდეთა დამძლევი სიყვარული, უზენაესი სიყვარული, საღმრთო ტრფობა, მოყვასის ტრფიალი, ტრფობა დაულეველი, სიყვარულის გზა და ხიდი"**.

პრობლემას შორეული ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ვლინდება ინტერესი ამ საკითხისადმი.

პლატონის მიხედვით, **"მხოლოდ სიყვარულს მიჰყავს კაცი ჭეშმარიტი გზით ამ ცხოვრებაში"**.

აღიარებს რა შთაგონების ეროსთან წილნაყარობას, პლატონი განასხვავებს მიწიერ და ციურ ეროსს, ეროტიკულ მისტერიათა საწყისი სტადია პირველი საფეხურია, ხოლო უმაღლეს, ეპოპტიკურ სტადიამდე მიახლოებისთვის აუცილებელია **"სულის მშვენების"** უპირატესობის აღიარება **"სხეულის მშვენებაზე"**, შემზადება **"მშვენიერების უკიდეგანო ოკეანის ჭვრეტისათვის"**, ვიდრე **"უხვი სიბრძნით გაბრძნობილი სული"** მიაგნებს **"ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას აბსოლუტური მშვენიერების შესახებ"**, რომელიც წარმოადგენს **"გასაოცარ მშვენიერებას, მარადიულს, ხელთუქმნელს, სახიერს თავის ყველა გამოვლენაში, ყველა დროში, ყველა ასპექტში"** (1,17).

ახალი აღთქმის მიხედვით, **"სიყვარული ღმერთისგან არს"**.

**"ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი იმიტომ, რომ ღმერთი სიყვარულია"** (I იოანე, 4,7,8) (2,320).

იოანეს გამოცხადებაში ღმერთი არის **"პირველი სიყვარული"** (იოანეს გამოცხადება, 2,4) (2,492).

ღმერთი აღიქმება, როგორც **"დიადი სიყვარული"**, რომლითაც **"სამყარო... ბრწყინავს, ვითარცა მარადიული შუვა დღე"** (ნეტარი ავგუსტინე) (3,240).

**"საღვთო ტრფობა"** არის ნეტარება... ყოვლადსაწადელი, სიხარული მიუთხრობელი (წმ. სვიმეონ ღვთისმეტყველი) (4,266).

**"საღვთო სიყვარული"**... არის **"მოძღვარი წინასწარმეტყველთა, თანამსრბოლი მოციქულთა, ძალი მოწამეთა, შთაბერვა მამათა და მოძღვართა, სრულქმნილება ყველა წმინდანისა"** (4,268).

დანტე აცხადებდა: **"სიყვარული... აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს", "სიყვარული ღვთაებრივი ანიჭებს ძალას და ამოძრავებს ამ მშვენიერ ციურ ცდომილებს"** (5,43,45).

დანტესთან მთავარია **"მისნური სიყვარული, დაუშრეტელი სიყვარული, სიყვარულის ყოვლისშემძლეობა, მარადიული ტრფიალი, პირველადი სიყვარულის სიყვარული, უზეშთაესი სიყვარული, სულიერი ტრფობა"** (5,303,292,246,360,308,205).

**"წმინდა სულს"** დანტემ შესთხოვა **"სიყვარულის და სიბრძნის ნიჭი"**.

**"უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ, უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ"**, ამბობდა გალაკტიონი.

ცხადია, აქაც ღმერთია ნაგულისხმევი, რადგან სამყაროს მამოძრავებელი, სილამაზისა და მარადიულობის მომნიჭებელი მხოლოდ ღმერთია.

იოანე პეტრიწი სიყვარულს – სამებას ეთაყვანებოდა (სათნოებათა კიბე) (6,184).

სუფისტურ სიყვარულს პოულობენ ჯალალ-ედ-დინ რუმის, იბნ ელ არაბის პოეზიაში (7,21).

საღმრთო სიყვარულს ხედავდა ზვიად გამსახურდია შოთა რუსთაველის **"ვეფხისტყაოსანში"**.

საღმრთო სიყვარულის იდეას იზიარებდნენ და **"სიყვარულს"** – ქრისტეს ეთაყვანებოდნენ დავით გურამიშვილი, ვახტანგ VI, აკაკი წერეთელი.

ქრისტე აკაკი წერეთლისთვის იყო უმაღლესი სიყვარული, **"საყვარელი"** და **"სულიკო"** ერთდროულად (8,89-98).

**"ტრფობის ქვეყანას"** ეძებდა ვაჟა ფშაველა, ხოლო **"სატრფოში"** გულისხმობდა ღმერთს (სიყვარულის სამეფო) (8, 98-106).

მეოცე საუკუნეში საღვთო სიყვარულის იდეას ავითარებდა ა. კალანდაძე (8,106-116).

ანა კალანდაძე მოუხმობდა ღმერთს – **"ცის და მიწის სიყვარულს", "რჩეულს"** (ღმერთს) და გვამცნობდა: **"ყოველთა დიდი არს სიყვარული და არაფერი არ არის მეტი"** (8,116-122).

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში კიდევ უფრო ღრმავდება ეს პრობლემა (8,170-186).

ათეისტურ მეოცე საუკუნეში გალაკტიონმა ხელახლა აღმოაჩინა თანამედროვეთაგან "**მიუკვლეველი... სიყვარული"** (დადგა აგვისტო).

საღმერთო სიყვარულის გამომხატველი ტერმინებია გალაკტიონის ლექსებში **"ზექვეყნიერი სიყვარული", "ტრფობა სრული", "მზიანი სიყვარული", "პირველი სიყვარული", "შორეული ტრფობა"** (8,106-116).

მერაბ კოსტავა საუბრობდა "**სიყვარულის გრადაციაზე, მოყვასის სიყვარულზე, რაც ღმერთისადმი სიყვარულის საწინდარია, სულიერი სიყვარული კი – "კოსმიური ჰარმონიის", "სფეროთა მუსიკის"** შეგრძნების გზად ესახებოდა.

**"როგორც სიყვარულის სულები – სერაფიმები არიან სულიერ იერარქიათა შორის უპირველესნი, ერთნაირად რომ განმსჭვალავენ დანარჩენ იერარქიებსაც და მთელ კოსმოსსაც, ასევე სიყვარულია ადამიანის უკვდავი სულის ყველა ღირსებათა შორის უპირველესი და დანარჩენ ღირსებათა ამოსავალი წყარო"**, წერდა მერაბ კოსტავა (9, 56-57).

სამყაროში ადამიანის უმაღლესი და უპირველესი გრძნობაა **"საღმრთო ტრფობა, სრულქმნილი სიყვარული"**, რომელიც ყოველგვარ ნეგატიურ ძალას ამარცხებს: **"...ეგ საღმრთო ტრფობა თუ გაგიჯდა ძვალსა და რბილში, მაშინ სრულქმნილმან სიყვარულმან განდევნოს შიში"** (ბიბლიური რემინისცენიები) (10,88).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, პოეტის პიროვნება მერაბ კოსტავასთვის იყო **"წარსული, აწმყო, მარადისობა"**. მის შემოქმედებაში ხედავდა **"მიწიერ და ციურ საწყისებს"**, უკანასკნელ ტრფობას, ანუ საღმრთო ტრფობას: **"სიბრძნის იმ ერთ დარგს როს დაეწინდე, ვითარცა მოსემ, აღმართე გველი, ანაზდად ლურჯას მათრახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი, როცა გახელდი, მთლად აიწყვიტე, ახსენე ტრფობა უკანასკნელი, მღვრიე მშვენება უმალ დაწმინდე, მკვიდრად შეაბი ზეცას ქვესკნელი"** (გალაკტიონი) (2,145).

ტერმინი **"უკანასკნელი"** საღმრთო ტრფობის მისამართით პირველად გვხვდება პლატონის **"ნადიმში"**, ვინაიდან ეს გრძნობა, საღმრთო სიყვარულამდე ამაღლება ადამიანის ცხოვრების უკანასკნელ ეტაპზე ხერხდება ხოლმე.

ხორციელი გრძნობიდან **"დიადი სიყვარულის"** საფეხურზე მიღწევის შესახებ საუბარია ნეტარი ავგუსტინეს **"აღსარებაში"**.

გალაკტიონის ლექსში **"უსიყვარულოდ"** გვხვდება სიტყვა **"უკანასკნელი"**, რომელსაც ახასიათებს ხორციელი ვნება-ჟინისგან განრიდება, ჩვეულებრივი მიწიერი გრძნობისგან განსხვავებულობა: **"მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი, როგორც ყვავილი შემოდგომის, ხშირად პირველს სჯობს, იგი არ უხმობს ქარიშხლიან, უმიზნო ვნებებს, არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს იგი არ უხმობს"**.

ამასთან, ლექსში ნათქვამია, რომ **"ჭკნება, ჭკნება სიყვარული უკანასკნელი, ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ უსიხარულოდ და არ არსებობს ქვეყანაზე თვით უკვდავება, თვით უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ"** (უსიყვარულოდ) (11,25).

ვფიქრობთ, უკანასკნელი სიყვარულის ჭკნობა ნიშნავს ათეისტურ ეპოქაში რწმენაზე, საღვთო სიყვარულზე უარის თქმას.

იდენტური შინაარსისაა, **"პირველი"** აღნიშნავს გრძნობის უზენაესობას, მის უმაღლეს ხარისხს, ხოლო **"უკანასკნელი"** მისი მოსვლის სტადიას ადამიანის ცხოვრების უკანასკნელ საფეხურზე.

საღვთო სიყვარულის პრობლემას მერაბ კოსტავა ისევ და ისევ გალაკტიონის შემოქმედებაში ხედავს სრულყოფილად, ყველაზე სარწმუნოდ და ასე მიმართავს პოეტების მეფეს: **"რუსთველის მიერ ნაანდერძალი, კვლავ აღგვიდგინე ღმერთების ენა, ოდეს გვასწავლე შთასმა სამსალის და სიყვარულის ასე მოთმენა. და ახლა ვერვინ შეგვედავება, რომ თვით სატანას დავცემთ არულით, რადგან ვირწმუნეთ, თვით უკვდავება, რომ არ არსებობს უსიყვარულოდ"** (გალაკტიონი) (10,147).

შემდეგ ნათქვამია: **"...სიბრძნის იმ ერთ დარგს რას დაეწინდე, ვითარცა მოსემ, აღმართე გველი, ანაზდად ლურჯას მათრახი სწყვიტე, საასპარეზო უჩვენე ვრცელი, როცა გახელდი, მთლად აიწყვიტე, ახსენე ტრფობა უკანასკნელი, მღვრიე მშვენება უმალ დასწმინდე, მკვიდრად შეაბი ზეცას ქვესკნელი"** (გალაკტიონი) (10,145).

უკვდავების მომნიჭებელი მხოლოდ სიყვარულის ღმერთია.

ახალ აღთქმაში ნიჭზე, სიბრძნეზე, წინასწარმეტყველებაზე, ქველმოქმედებაზე მაღლა სიყვარულია დაყენებული: **"თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ ჟღარუნა რვალი ვარ ან ჩხარუნა წინწილა.**

**წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნაც რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარობა ვიქნებოდი"**.

**ლუარა სორდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მძიმე დემოგრაფიული სურათი

გავეცანი უკრაინის დემოგრაფიულ სტატისტიკას, რამაც ერთობ სავალალო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ვინაიდან უმალ გავავლე პარალელი საქართველოზე – უკრაინის მეგობარ ქვეყანაზე, **„ფერად-ყვავილოვანი რევოლუციის“** ერთ-ერთ აკვანზე, ევროატლანტიკური კურსის განუხრელ მიმდევარზე, დღევანდელი ყოფით თუ ძალიან არა, ნაწილობრივ მაინც **„კმაყოფილზე“**.

უკრაინის დემოგრაფია თუ სრულად არა, ნაწილობრივ მაინც ასახავს მიმდინარე მოვლენებს, რომელიც პოლიტიკით, ეკონომიკით, სოციალური ყოფით არის გამოწვეული. ამ სამ ჩამონათვალს კიდევ ერთი ემატება – სამოქალაქო ომი, რომელიც ცხადია პოლიტიკიდან არის გამომდინარე. ცუდი პოლიტიკიდან.

25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის პირველმა და უკანასკნელმა პრეზიდენტმა გორბაჩოვმა საჯაროდ, ტელევიზიით გამოაცხადა თავისი გადადგომა, საბჭოთა კავშირის დაშლა და ყველა საბჭოთა რესპუბლიკას თავისუფალი და დემოკრატიული ცხოვრების გზა დაულოცა.

არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, რომ არა კრემლიდან ნაბოძები დამოუკიდებლობა, ვინ იცის როგორ დატრიალდებოდა საბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს ცხოვრების ჩარხი. იქნებოდნენ თუ არა ისინი დამოუკიდებლები კრემლს რომ ისეთი პოლიტიკური სტრუქტურა გაეზიარებინა, რასაც ჩინეთში ჰქონდა და აქვს ადგილი? შეინარჩუნებდა თუ არა ის, ისეთ სახელმწიფო წყობას – სახეშეცვლილის სახით, როგორსაც ჩინეთში აქვს ადგილი?

იმჟამინდელ საბჭოთა ხელმძღვანელობას საკმაო ძალა გააჩნდა კავშირის შენარჩუნებისთვის, ჩინეთის მსგავსი რეფორმების განხორციელებისთვის, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია – ლიბერალური, რითაც დათმო ყოველივე ის (ტერიტორიების სახით), წინაპრებმა რომ სისხლითა და მახვილით მოიპოვეს საუკუნეების განმავლობაში.

ფუჭია რუსოფობების დაბეჯითებული მტკიცება, რომ რუსეთი ისეთივე დამპყრობელია, როგორიც უწინ და ყველაფერს მოიმოქმედებს საკუთარი ტერიტორიების გასაფართოებლად. რუსოფობებს მაგალითებიც მოჰყავთ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ყირიმის, დნესტრისპირეთის სახით. მოჰყავთ ზედაპირულად, გაუანალიზებლად, საკუთარი დანაშაულის გასაბათილებლად. არც ერთი მათგანი არ ამბობს მიზეზს, რატომ მოიქცა რუსეთი ასე. არადა, რომ არ მოქცეულიყო, ექნებოდა თუ არა გენოციდს ადგილი აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, დნესტრისპირეთში, ყირიმსა და დონბასში?!

უკრაინის, საქართველოს, მოლდოვას ევროატლანტიკური კურსის მიმდევარი ხელისუფლებების პოლიტიკიდან გამომდინარე, სხვაზე გაფიქრებაც კი შეუძლებელია. თავის დროზე სახაროვმა საქართველოს, მცირე იმპერია უწოდა, რამაც ჩვენში აღშფოთება გამოიწვია. მაგრამ ჩავიხედოთ ჩვენს გულში, ობიექტურად შევაფასოთ ჩვენი ქცევა დამოუკიდებლად არსებობის ჟამს – ორივე ავტონომიასთან მიმართებაში ომები; მესამესთან, აჭარა მაქვს მხედველობაში, ვითარების უკიდურესად დაძაბვა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თავმოყრილი ახალგაზრდების აჭარისთვის მისევა, იქაური ლეგიტიმური ხელისუფლების განდევნა. და როდესაც განდევნილმა ორმა ყოფილმა ავტონომიამ თავი რუსეთს შეაფარა, ამ უკანასკნელს აგრესორად, ოკუპანტად მოვიხსენიებთ.

ანალოგიური რამ არის უკრაინაშიც. სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა ბანდერელებმა უმალ ბრძანეს რუსული ენის, ყოველივე რუსულის დაკნინება; მოსკოვთან ეკონომიკური, სხვა კავშირების გაწყვეტა, ხოლო იმათთან, ვინც კიევის მოწოდება არ გაიზიარა – მუშტით ლაპარაკი. შედეგი სახეზეა – 3-წლიანი სისხლიანი დაპირისპირება.

ზემომოყვანილი ფაქტები უდავოდ ბადებენ კითხვებს – მაგალითად ასეთს – რომ არ ყოფილიყო უკრაინის ბანდერული ხელისუფლების მიერ გადადგმული ანტირუსული ნაბიჯები, დაკარგავდა თუ არა უკრაინა ყირიმს ან დონბასს?

დაფიქრებაც არ არის საჭირო ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. არ დაკარგავდა! ისე, როგორც საქართველო არ დაკარგავდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რომ არა საქართველოს ხელისუფალთა მიერ 2008 წელს წამოწყებული ომი. უკრაინამ და საქართველომ, ევროატლანტიკური სივრცის დაკვეთით, აიძულეს რუსეთი გადაედგა აგრესიული ნაბიჯი და წერტილი დაესვა იმ ნაციონალიზმისთვის, რომელმაც თავი იჩინა ორივეგან.

საქართველოს პოლიტიკას, ისე, როგორც უკრაინისას, აგრეთვე მასზე მიტმასნილ ტაშის დამკვრელ საზოგადოებას, არ უყვარს სიმართლის თქმა. მათ მხოლოდ თითის გაშვერა უყვართ, ამჯერად რუსეთისკენ, მაგრამ საკმარისია რაღაც არ მოეწონოთ დასავლეთის, უმალ იმასაც გალანძღავენ. აკი ლანძღავენ, მე ვიტყოდი დამსახურებლად, ყველა იმ მანკიერებისთვის, რის დაფუძნებასაც აპირებენ ისინი საქართველო-უკრაინაში.

თვალი შევავლოთ სტატისტიკას, რომელიც უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციალური კვლევის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა. მისი მიხედვით, უკრაინის მოსახლეობა 12 მილიონი ადამიანით შემცირდა. ეს მონაცემები ემთხვევა საერთაშორისო პროგნოზებს, მაგალითად გაეროს, რომელმაც ივარაუდა, რომ 2050 წლისთვის უკრაინის მოსახლეობა, საუკეთესო შემთხვევაში 39 მილიონი იქნება, უარეს ვითარებაში – 31 მილიონი. საშუალოდ უკრაინაში 35 მილიონი ადამიანი იცხოვრებს.

დეპოპულაციამ ჩვეულებრივი ხასიათი შეიძინა, რომლის გამოსწორება შეუძლებელია – ასე მიიჩნევს აღნიშნული ინსტიტუტი. სტატისტიკის მიხედვით, 2016 წელს უკრაინაში დაიბადა 397.000 ბავშვი, ხოლო გარდაიცვალა 584.000 ადამიანი. 2001 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით უკრაინაში 54 მილიონი ადამიანია. ახალი აღწერა არ ჩატარებულა ორი მიზეზის გამო – გაბერილი ციფრები ხელს უწყობს საარჩევნო მანიპულაციას და **„მკვდარი სულები“** ეხმარება ხელისუფლებას სახელმწიფო ბიუჯეტის ძარცვაში.

დამოუკიდებლობის წლებში შექმნილმა გაუსაძლისმა ეკონომიკურმა და სოციალურმა ვითარებამ მილიონობით უკრაინელი მიაყენა რუსეთის, ევროკავშირის, სხვა ქვეყნების კარს, თუნდაც ყველაზე მძიმე და შავი სამუშაოს შესრულებისთვის. აქედან გამომდინარე, უკრაინის მოსახლეობა რომ 54 მილიონი აღარ იქნება, ფაქტია.

ინსტიტუტმა მოსახლეობის რაოდენობის დასადგენად სხვა მეთოდი გამოიყენა – პურის წარმოება. 2010 წლიდან (2464 ათასი ტონა) ის დაეცა 2-ჯერ ანუ 1123 ათას ტონამდე. 2010 წელს მომხმარებლის მიერ პურის მოხმარების ნორმა შეადგენდა 45 კგ წლიურად. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსახლეობა პურის დახლებს დააცარიელებს, მომხმარებელი არ გაიზრდება – რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის რაოდენობა 25 მილიონს არ აღემატება.

„The National Interest“-ის ექსპერტი ნოლან პეტერსონი მიიჩნევს უკრაინის მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრ შემცირებას ამ ქვეყნის განვითარების უმთავრეს ბარიერად. მისი აზრით, ის, ვინც დღეს ამ ქვეყანას მართავს სხვაგვარად უნდა მოიქცეს, მაგრამ პირიქით ხდება, თითქოს ისინი ხელს უწყობენ დეპოპულაციას.

შეიძლება თუ არა უკრაინის ხელისუფალთა პოლიტიკას, ისე, როგორც საქართველოს, ეწოდოს საკუთარი ხალხის გენოციდი?

კითხვა უდავოდ არ არის ხელისუფლებაზე განაწყენებული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ დასმული. უბრალოდ კითხვის მასტიმულირებელი მთელი რიგი პრობლემებია, რომელთა მოუგვარებლობა საბოლოო ჯამში იწვევს დეპოპულაციას.

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, საბჭოთა რესპუბლიკებში არ აღმოჩნდნენ ისეთი პოლიტიკოსები, ეკონომისტები, იურისტები, რომლებიც ალღოს აუღებდნენ საბაზრო ეკონომიკურ ცხოვრებას და მეტნაკლებად ისე მომართავდნენ ქვეყნის საჭეს, კატასტროფისგან რომ თავი დაეღწიათ. ზოგიერთმა მათგანმა უკვე ყოფილ ცენტრთან მყისიერად გაწყვიტა ეკონომიკური კავშირები, პოლიტიკურზე რომ არაფერ ვთქვათ და დასავლეთს ჩაეხუტა. ამ პროცესს თვით დასავლეთმა, განსაკუთრებით აშშ-ა მისცა ბიძგი და ისე ჩაიხუტა საღეჭ რეზინებს დახარბებული ყოფილი საბჭოელები, როგორც წლობით უნახავი ღვიძლი ძმები. ამ თვალსაზრისით გამოირჩევიან საქართველო, უკრაინა, მოლდოვა.

სწორედ ეს სამეული აღმოჩნდა ყველაზე სუსტი რგოლი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების ჯაჭვში. სწორედ ამ სამმა დედის რძესავით შეირგეს ე.წ. დასავლური დემოკრატია. სწორედ ამ სამში ჰქონდა ადგილი **„ფერად-ყვავილოვან რევოლუციებს“**. დანარჩენში, არ განხორციელდა. სწორედ ამ სამში დაიხარჯა ამერიკული ფული **„გადემოკრატებისთვის“** გამოყოფილი. სწორედ ამ სამში მოხდა ხელისუფალთა ცვლა – დასავლურზე. სწორედ ეს სამი გადაიქცა აშშ-ს ანტირუსული პროპაგანდის ფუნდამენტად. სწორედ ამ სამში მოსახლეობა დარჩა გაბითურებული, ხოლო მისი გამბითურებელი ხელისუფლება – გალაღებული.

ამ სამი ქვეყნის მოსახლეობა მხოლოდ დღეს იწყებს ლაპარაკს იმაზე, თუ როგორ გააცურა დასავლეთმა, კერძოდ აშშ-ა ის. არადა, რა იმედებს ამყარებდნენ აშშ-ზე. განვლილი ცხოვრების გაკვეთილებიდან გამომდინარე ხალხი, რომელიც კრემლის კანფეტებს იყო მიჩვეული, ამერიკისგან შოკოლადებს მოელოდა. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ საბჭოთა კავშირის დროს უხვად მიღებული სიკეთეები აღარასოდეს გამეორდებოდა, მითუმეტეს აშშ-ს მხრიდან, რომელიც რწყილს ატყავებს თავისი კეთილდღეობისთვის.

სტატისტიკის მიხედვით, საქართველომ დამოუკიდებლობის წლებში სამხედრო-ეკონომიკური დახმარების სახით აშშ-დან 900.000-მდე დოლარი მიიღო. იყო სხვა დახმარებაც, სხვადასხვა ფონდებიდან, მაგრამ ჯამურად არც ისეთი მნიშვნელოვანი, რომ გადარეულებს ჭკუა-გონება დაგვეკარგა.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში დავკარგეთ კიდევაც და იმ ზომამდე მივედით, მზე ამერიკაში ამოვიყვანეთ. როგორც იქნა ხალხმა გამოფხიზლება დაიწყო. ნუთუ ამისთვის ცოცხის ტარის ანალურ არხში გარჭობა იყო საჭირო?

დასავლეთი რა შუაშიაო – იკითხავს მკითხველი. იმ შუაშია, რომ სწორედ მან დაგვინიშნა მმართველად სააკაშვილი, მანამდე შევარდნაძეს უსვა თავზე ხელი, ხოლო ამჯერად ივანიშვილს აბატონებს თავისი ჯიბის მთავრობით.

აშშ-ს მიზანი არასდროს ყოფილა რომელიმე ქვეყნის ფეხზე დაყენება, იქ ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების განვითარება. მისი მიზანი ყოველთვის იყო და არის ეგოისტური. მატრაკვეცა დასავლელები ხშირად ამბობენ – **„მარშალის გეგმამ“** ფეხზე დააყენა ევროპაო. გეთანხმებით, მაგრამ თვალი შევავლოთ მედლის მეორე მხარეს. რა ფული იშოვა აშშ-ა **„მარშალის გეგმით“**?! პოლიტიკურ დივიდენდებზე აღარაფერს ვამბობ. სწორედ იქედან მოყოლებული, ევროპა, აშშ-ს დანამატია – სუვერენიტეტდაკარგული, დიდი ბატონის თვალებში შემციცინე.

25 წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველო, დიდი კავშირის წარმატებული ქვეყანა, მათხოვრად იქცა. ქარხანა-ფაბრიკები ჯართად გაიყიდა, თანაც სასაცილო ფასებში. განადგურდა ნებისმიერი სახის წარმოება. დაიწყო კატასტროფული უმუშევრობა, სანაგვე ყუთების ქექვა. განადგურდა განათლების სისტემა, სწავლის ხარისხი; შემორჩენილი სამსახურებიდან განიდევნა გამოცდილი, პროფესიონალი კადრები; დაეცა სამედიცინო მომსახურება; იმატა სიკვდილიანობამ; კატასტროფულად შემცირდა შობადობა და ამასთანავე ქვეყნის მოსახლეობა. მშიერმა ხალხმა რუსეთს, თურქეთს, საბერძნეთს, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, აშშ-ს მიაკითხა, ცხადია არალეგალურად, თავის და ოჯახის გამოსაკვებად. ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

საბჭოთა საქართველოს ხუთმილიონნახევარი მოსახლეობა სამ მილიონნახევრამდე დავიდა და ისე, როგორც უკრაინას, დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება. გაეროს მონაცემებით, სულ რაღაც 20 წლის თავზე საქართველო მკვდარ ერებს შორის დაიკავებს ადგილს. რა შეიძლება ვუწოდოთ ამას, თუ არა გენოციდი?

და როდესაც ესოდენ სავალალო რეალობასთან გვაქვს საქმე, ხელისუფლება, დასავლეთის მიერ წაქეზებული, დიდ გამარჯვებად აღიქვამს ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მოგზაურობას.

25 წლის განმავლობაში აშშ-ს არც ერთი საწარმო არ გაუხსნია საქართველოში. რაც მან გახსნა ლუგარის სახელობის ბიოლოგიური კვლევის ცენტრია – ერთობ საეჭვო რეპუტაციის (ასე მიიჩნევენ თვით ამერიკელი ექსპერტები). ჯერ არავინ იცის, რა უბედურებას შეყრის ეს ლაბორატორია საქართველოს საექსპერიმენტოდ გამწესებულ მოსახლეობას. ხალხს დაავიწყეს შრომა, სამშობლოს სიყვარული, აზროვნება, ვითარების გაანალიზების უნარი. ქვეყანა აშშ-ს მორჩილ პირუტყვად გადააქციეს.

ამ გასაჭირშია მოქცეული სამივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა. შეხედეთ დანარჩენებს, ვინც რუსეთთან ურთიერთობა ამჯობინა ამერიკულ **„საღეჭ რეზინებს“** – ბელარუსი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი და ა.შ. ყველგან იგრძნობა თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემა. როდესაც ასტანაში მსოფლიოს ეკონომიკური მიღწევების გამოფენა ტარდება, თავისთავად ხაზს უსვამს ყაზახეთის წინსვლას. როდესაც აზერბაიჯანი, ევროპის ქვეყნების ოლიმპიურ თამაშებს, ევროვიზიის სიმღერის კონკურსს ატარებს – ქვეყნის კეთილდღეობას ნიშნავს.

ყველა მათგანმა რუსეთთან ურთიერთობის გაგრძელება ამჯობინა, რაც სულაც არ ნიშნავს რუსული დიქტატის ქვეშ მოქცევას. ან რომელ რუსულ დიქტატზეა ლაპარაკი, როდესაც დსთ-ს არც ერთმა წევრმა ქვეყანამ არ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა?

რუსეთის ხელისუფალთ მათთვის არ დაუძალებიათ ამის გაკეთება, თვით კი, ნაცვლად **„დიდი ძმის“** გასახარად, არ გადადგეს ასეთი ნაბიჯი.

დსთ არ არის ის გაერთიანება, სადაც რუსეთი ჰეგემონობს და ისე, როგორც წინათ **„დიდი ძმის“** როლს ასრულებს. რამდენად გონებაჩლუნგი, ინფორმაციას მოკლებული უნდა იყოს ნებისმიერი რუსოფობი, რომ მოძველებული **„პლასტინკა“** ატრიალოს, რუსეთის დიქტატურის თაობაზე და აქედან გამომდინარე საქართველოს მოსახლეობა აშინოს რუსული ჩექმით.

საქართველოს პოლიტიკამ დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე მცდარი ნაბიჯი გადადგა და ორიენტირად ევროატლანტიკური სივრცე დაისახა, რასაც მოჰყვა ზემოჩამოთვლილი **„სიკეთეები“**. ქვეყანა და მისი მოსახლეობა გაჩანაგდა. ხალხმა მიატოვა სამშობლო და სხვა სამშობლო გაიჩინა, სადაც მძიმე შრომით ფულს აკეთებს და პირველ სამშობლოში დარჩენილ ოჯახს არჩენს.

სწორედ უცხოეთიდან გამოგზავნილი ფულით უდგას სული საქართველოს. არის თუ არა ეს საქართველოს ხელისუფალთა და მათი მხარდამჭერი აშშ-ს მზაკვრული პოლიტიკის შედეგი, მიმართული ქვეყნის აბორიგენი მოსახლეობისგან დაცლისკენ?

საქართველოს დაცარიელებულ სოფლებს კალიებივით შეესივნენ ჩინელები, ინდოელები, პაკისტანელები, სხვები. საქართველოს დარჩენილი მოსახლეობა, რომელსაც საკუთარი მარჯვენის გარდა არაფერი აქვს შემორჩენილი, გადამთიელთა სამსახურშია ჩამდგარი და მიზერული შემოსავლის ფასად ამდიდრებს მას.

საქართველოს გაძვალტყავებულ მოსახლეობას საკუთარ მიწასაც ართმევენ, რაც საბოლოოდ მსუყე წერტილს დაუსვამს ქართველის არსებობას თავისსავე ქვეყანაში. ვის უნდა **„უმადლოდეს“** ყოველივე ამას ქართველი – რუსეთს თუ აშშ-ს?

რუსეთმა, ქართლ-კახეთის გაწამებული სამეფო როდესაც ჩაიბარა, მოსახლეობა ნახევარ მილიონსაც არ აჭარბებდა და როდესაც თავისუფალი ცხოვრების გზა დაგვილოცა, ხუთნახევარ მილიონს აღწევდა. ამ რაოდენობით ჩავეხუტეთ დასავლეთს, კერძოდ აშშ-ს და დაიწყო მოსახლეობის დეპოპულაცია. დღეს სამ მილიონამდე ვართ, თუმცა უახლოეს მომავალში, გაეროს გათვლით, მილიონნახევარი ვიქნებით. არის თუ არა ეს გენოციდი?!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი



*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

უამრავ სასამართლო ინსტანციაში საქმეების განხილვა უსაშველოდ ჭიანურდებოდა, თვეების მანძილზე. საქმეები იხილებოდა ზერელედ, არასაკმარისად პროფესიულად, იყო საქმეების განმეორებით ძიებაში უსაფუძვლოდ უკან დაბრუნების უამრავი შემთხვევა.

შემდეგ მოდიოდა ამგვარი შემთხვევებისათვის დამახასიათებელი ფრაზები – "დაევალოს... ვაიძულოთ... გაიზარდოს...".

მაგრამ 1939 წლის პირობებში ამის შესრულება შეუძლებელი გახლდათ. თუნდაც ერთი მიზეზით: თუ ბერიამ სსრკ შინსახკომში მოასწრო გარკვეული "კადრების როტაციის" ჩატარება, არც ა. ვიშინსკის პროკურატურაში და არც რიჩკოვის იუსტიციის სამინისტროში მსგავსი არაფერი მომხდარა. არ შეიძლება საპროკურორო თვითნებობის და სასამართლოს არაკომპეტენტურობის შემაკავებელ დოკუმენტად ჩაითვალოს სსრკ სახკომსაბჭოს 1939 წლის დადგენილება "სსრკ პროკურატურის კადრების განყოფილების კადრების საამრთველოდ რეაორგანიზების შესახებ" და სახკომსაბჭოს 1939 წლის 15 ივნისის № 859 დადგენილება "სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის დამტკიცების თაობაზე".

შეიძლება ამ უწყებათა ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ ბერიას მიერ შემოთავაზებული ინიციატივა დროებითი იყო? მაშინ საჭირო არ იქნება შეიცვალოს წესრიგის "მკაცრი" დამცველების მიერ დანერგილი სადამსჯელო სისტემა, რომელიც შიშის ზარს სცემს მთელ საბჭოთა კავშირს.

"სრულყოფილი სიყვარული ადგილს არ უტოვებს შიშს, იმიტომ, რომ შიში თავისთავად მოიცავს წამებას, მშიშარას არ შეუძლია სრულყოფილების გამოვლენა"
(მოციქულ იოანეს გზავნილთა პირველი კრებული).

ბერიამ (როგორც არქიტექტორმა) მოახდინა დანაშაულებრივი წარსულის დემონტაჟი და იგი მხოლოდ მომავალზე ფიქრობდა. მართლაც, როგორი მომავალი შეიძლება იყოს აგებული შიშზე?..

სსრკ შინსახკომის სისტემიდან გამოგდებული "ეჟოვის კაციჭამიების" ნაცვლად ოპერატიულ-სამძებრო სამუშაოზე მიღებული იქნა 14.506 ადამიანი, მათ შორის 11.062 ადამიანი პარტიულ-კომკავშირული საგზურით. ფაქტიურად შინსახკომის პირადი შემადგენლობის მესამედი ყოფილი სამოქალაქო პირებისაგან შედგებოდა, ძირითადად ესენი იყვნენ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები. სსრკ შინსახკომის სისტემაში სულ დასაქმდა უმაღლესდამთავრებული – საერთო სიითი შემადგენლობის 35 პროცენტი (ეჟოვის დროს მათი რიცხვი არ აღემატებოდა 10 პროცენტს), 7 კლასზე დაბალი განათლების მქონე ადამიანთა რიცხვი კი 42 პროცენტიდან შემცირდა 18 პროცენტამდე.

და კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. 1934 წელს, სსრკ შინსახკომის ჩამოყალიბების დღიდან, კომისარიატის 96 ხელმძღვანელი მუშაკიდან 30 იყო რუსი ეროვნების, 37 კი ებრაელი. გარდა ამისა, ოთხი მათგანი იყო პოლონელი, 7 – ლატვიელი და 2 გერმანელი. 1936 წლის 26 სექტემბერს, იაგოდას სახალხო კომისრობიდან მოხსნის დღეს სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა – 110 ხელმძღვანელი მუშაკიდან 43 იყო ებრაელი, 33 – რუსი, 5 – პოლონელი, 9 – ლატვიელი და ორი გერმანელი. ამრიგად, შექმნილი იყო აშკარად არანორმალური მდგომარეობა, როცა შინსახკომის ხელმძღვანელ მუშაკთა 14,5 პროცენტი საბჭოთა კავშირისადმი არც თუ კეთილად განწყობილი სახელმწიფოს შვილი იყო. ებრაელთა რიცხვი კი 40 პროცენტს აჭარბებდა, რაც ბევრად აღემატებოდა რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების ერთად აღებულ რაოდენობას.

ეჟოვის შინსახკომში დანიშვნის შემდეგ კომისარიატის ხელმძღვანელობიდან მიზანმიმართულად გაისტუმრეს პოლონელები, ლატვიელები და გერმანელები. ებრაელთა პროცენტული შემადგენლობაც ეცემა. 1938 წლის 1 სექტემბერს, "ეჟოვშჩინის" მიწურულს, სსრკ შინსახკომის 150 ხელმძღვანელი მუშაკიდან რუსია 85, ებრაელი – 32. მაგრამ ამ უკანასკნელთა წილი (21 პროცენტი) მაინც მაღალია. თანაც, უწყების რუსი ეროვნების მუშაკებით შევსება ხდება ძირითადად ახალი ვაკანსიების ხარჯზე.

და, აი, სსრკ შინსახკომის თავკაცად მოდის ბერია და სიტუაცია მკვეთრად იცვლება. 1939 წლის 1 ივლისისათვის შინსახკომის 153 ხელმძღვანელი მუშაკიდან 102 რუსია, 19 – უკრაინელი და 6 ებრაელი (სულ 3,92 პროცენტი). იგივე სურათი შეინიშნება შედარებით დაბალ დონეზე: 1940 წლისათვის შინსახკომის ცენტრალური აპარატის ნაციონალური შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურება: რუსები – 3.037 (84%), უკრაინელები – 221 (6 %), ებრაელები – 189 (5 %), ბელორუსები – 46 (1,25 %), სომხები – 41 (1,1 %), ქართველები – 24 (0,7 %), თათრები – 20 (0,5 %), და ა.შ. (ნ. პეტროვი და კ. სკორკინი, "ვინ ხელმძღვანელობდა შინსახკომს 1934-1941 წლებში", საზოგადოება *"მემორიალის"* ციფრების მიხედვით).

კიდევ ერთი შევსება შინსახკომში მოვიდა საბჭოთა არმიიდან. 1939 წლის 27 იანვარს სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილემ, არმიის მეორე რანგის კომისარმა შადენკომ გამოსცა №010 ბრძანება, რომლის თანახმად სსრკ შინსახკომის განკარგულებაში უნდა ყოფილიყვნენ მივლინებული წითელი არმიის სამხედრო აკადემიათა გამოსაშვები და დაბალი კურსის მსმენელები. მოვლენებს დავასწრებთ და ვიტყვით, რომ პირველები, ვისი საქმეების გადახედვაც დაიწყეს შინსახკომში ბერიას მოსვლის შემდეგ, იყვნენ წითელი არმიის ოფიცრები: 1937-1938 წლებში საბჭოთა არმიის რიგებიდან პოლიტიკური მოტივით დათხოვნილ იქნა 30.000 ადამიანი (მათ შორის გასამართლდა 10.000 ადამიანი). შინსახკომის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ სამსახურს დაუბრუნდა 12.500 ოფიცერი. ომი კართან იყო მომდგარი და აუცილებელი იყო, რომ კოლონიათა ბარაკებიდან სასწრაფოდ გამოეღლიტათ ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო ადამიანები.

უვარგისი ადამიანები კი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, თავად ამოტივტივდებოდნენ ხოლმე, კოლონიათა ბარაკების გვერდის ავლით. ისინი სასჯელს თავიდან იცილებდნენ და პირიქით, მედლებსაც უხვად იწებებდნენ ხოლმე მკერდზე... რათა, შემდეგ, საკუთარი დანაშაულები სხვებისათვის გადაებრალებინათ!

აუცილებელია კიდევ ერთხელ შევახსენოთ: ლ.პ. ბერია არ შედიოდა ავად ცნობილი "დამხვრეტი სამეულის" შემადგენლობაში, ხელს არ აწერდა დახვრეტის განაჩენებს. 1937 წელს საქართველოში მოქმედებდა "დამხვრეტი სამეული" შემდეგი შემადგენლობით: რაფავა – თავმჯდომარე, ტალახაძე და წერეთელი – წევრები.

აი, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი – "სტალინ-ბერიას ტერორის მამხილებელი", 1937 წლის დასაწყისში "სამეულში" არ ჩართეს. და იგი... განაწყენდა! მოსკოვის ოლქის "სამეული" განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე – რედენსი, წევრები – მასლოვი და ვოლკოვი. მაგრამ 1937 წლის ივლისში ცეკას პოლიტბიუროში შემდეგი შინაარსის ბარათი შედის: "ამხანაგ ი.ბ. სტალინს. გაცნობებთ, რომ შემოწმებით მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში გამოვლენილი და დაპატიმრებულია 41.305 სისხლის სამართლის დამნაშავე და კულაკური ელემენტი. მათ შორის სისხლის სამართლის დამნაშავეა 33.436 ადამიანი. არსებული მასალები იძლევა იმის საშუალებას, რომ ეს ხალხი პირველ კატეგორიას მივაკუთვნოთ... გთხოვთ კომისია დაამტკიცოთ შემდეგი შემადგენლობით: ამხ. რედენსი – სსრკ შინსახკომის მოსკოვის ოლქის შინსახკომის სამმართველოს უფროსი, მასლოვი – მოსკოვის ოლქის პროკურორის მოადგილე, ხრუშჩოვი ნ. ს. – სკკპ (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი – აუცილებლობის შემთხვევაში ამხ. ა.ა. მასლოვის შეცვლისათვის. სკკპ (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი (ნ.ს. ხრუშჩოვი)". სიტყვისათვის – დღეისათვის რედენსი ითვლება უდანაშაულოდ რეპრესირებულად. იგი დახვრიტეს, მიუხედავად იმისა, რომ სტალინთან ახლო ნათესაური კავშირი ჰქონდა.

აი, ხრუშჩოვი კი... რომელსაც ძალიან ართობდა მოსახლეობის დახვრეტა...

გახდა რა 1935 წელს მოსკოვის საქალაქო და საოლქო პარტიული ორგანიზაციის მდივანი, იგი მაქსიმალურად იყენებდა თავის ახალ შესაძლებლობებს. დათვლაც კი შეუძლებელია მის მიერ კაგანოვიჩთან (რომლის რეკომენდაციითაც წარედგინა ხრუშჩოვი სტალინს), ეჟოვთან და სსრკ შინსახკომის მოსკოვის სამართველოს უფროს უსპენსკისთან ერთად ლიკვიდირებული ხალხის რაოდენობისა. ესენი ძირითადად იყვნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სამხედრო მოსამსახურეები, მათი ოჯახობები, სპეცინტერნატში გადაგზავნილი მათი დაობლებული ბავშვები. ისტორიკოს როი მედვედევის მიერ მოძიებული მონაცემების თანახმად, **1937 წლის განმავლობაში, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის რაიკომის 136 მდივნიდან პოსტზე დარჩა მხოლოდ შვიდი – დანარჩენები უგზო-უკვლოდ გაქრნენ**.

ხრუშჩოვი აკონტროლებს დაპატიმრებათა მიმდინარეობას და მოითხოვს, რომ იზოლირებულთა რიცხვი შთამბეჭდავი იყოს. მოსკოვის ძველი მაცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ ხრუშჩოვი ყოველდღე რეკავდა შინსახკომის სამმართველოში და ინტერესდებოდა, თუ როგორ მიდიოდა საქმე.

1935 წელია. სოჭში, სადაც ისვენებს სტალინი, ჩადის ხრუშჩოვი და ბელადს მოახსენებს: "მე გავეცი განკარგულება, რომ მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში დაიხუროს 79 მოქმედი ეკლესია, შედარებით აქტიურ სასულიერო პირებს ჩვენ გავასამართლებთ".

სტალინი პასუხობს: "ნიკიტა, შენ ანარქისტი ხარ! ბატკა მახნო შენ გულში ჩაგიხუტებდა ღვიძლი შვილივით. დაიხსომე, ეკლესიისათვის ხელის ხლება არ შეიძლება...".

ხრუშჩოვი, ფრთხილად: "მოსკოვის საქალაქო სასამართლოში დღეს ძიებაშია 51 სასულიერო პირის საქმე".

სტალინი: "ახლავე გაეცით მათი განთავისუფლების განკარგულება, ყველანი გაუშვან თავისუფლებაზე".

1938 წლის იანვრის პლენუმზე ხრუშჩოვს მაგრად აუწიეს ყური და გაგზავნეს... უკრაინაში, სახალხო მეურნეობის ასაღორძინებლად. (და კვლავ – რატომ?) 1938 წლის მიწურულს ეს "რეპრესიათა სტახანოველი" კვლავ წერს საჩივარს: "*ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძევ,* – წერს იგი სტალინს, – *უკრაინიდან ყოველთვიურად იგზავნება 17-18 ათასი ადამიანის რეპრესირების მოთხოვნა, მოსკოვი კი ამტკიცებს მხოლოდ 2-3 ადამიანზე ღონისძიების გატარებას. გთხოვთ სასწრაფოდ მიიღოთ ზომები. მარად თქვენი ერთგული ნიკიტა ხრუშჩოვი*".

გამოდის, რომ მოსკოვს ისინი ეცოდება, ჩვენ კი, ამის გამო, ნაწყენები ვართ. დიდებისაკენ მიმავალ ყველა გზას უკეტავენ. აქ განსაკუთრებით ხაზგასასმელია ნიკიტას "ერთგულება" ბელადისადმი...

ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსის, პულიტცერის პრემიის ლაურეატ უილიამ ტაუბმანის საკმაოდ სქელტანიან წიგნში "ხრუშჩოვი: ადამიანი და მისი ეპოქა", მოცემულია "უკრაინის პერიოდის" სტატისტიკა:

*"იგივე ხრუშჩოვი ახორციელებდა კონტროლს რეპრესიებზე, რომლის მასშტაბები აშკარად გაიზარდა მისი ჩამოსვლის შემდეგ.. მხოლოდ 1938 წელს, როგორც მიიჩნევა, დაპატიმრებულ იქნა 106.119 ადამიანი; 1938 წლიდან 1940 წლამდე დაპატიმრებულთა საერთო რაოდენობამ მიაღწია 165.565 ადამიანს. მოლოტოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელიც არც მთლად ობიექტიურია, მაგრამ საკმაოზე მეტად ინფორმირებული, ხრუშჩოვმა უკრაინის "სამეულში" ყოფნის პერიოდში 54.000 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს".*

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხრუშჩოვი პირადად იღებდა მონაწილეობას დაპატიმრებულთა დაკითხვებში უსპენსკისთან ერთად, რომელიც უკრაინაში წაიყვანა და დანიშნა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. ეს "დუეტი" იმდენად გავიდა თავს, რომ 1938 წლის მიწურულს უკრაინის კომპარტიის ცეკას 90 წევრზე მეტი დააპატიმრა.

ჯერ კიდევ დასადგენია, იყო თუ არა ეს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობა, მაგრამ მისი დანაშაულებრივი არსი ეჭვს არ იწვევს.

შემონახულია კიევის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს 1938 წლის 25 მარტის დადგენილება "ოლქის მეთაურთა, ხელმძღვანელი და პოლიტიკური შემადგენლობის კადრების მდგომარეობის შესახებ", რომელიც მიღებულია ხრუშჩოვის მონაწილეობით. აი, ნაწყვეტი ამ დოკუმენტიდან: " სამხედრო საბჭომ ცენტრალურ ამოცანად დასახა ხალხის მტრების აღმოფხვრა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე ერთგული და მზარდი კადრების შერჩევის შესახებ". ტროცკისტ-ბუხარინელების და ნაციონალისტური ელემენტების დაუნდობელი "აღმოფხვრის" შედეგად, 1938 წლის 25 მარტს განხორციელდა ოლქის ხელმძღვანელი მუშაკების შემდეგი განახლება.

"აღმოფხვრისა და განახლების" მასშტაბებზე მეტყველებს ოლქის სამხედრო საბჭოს კრების ოქმის დანართი. ღონისძიებამ მომაკვდინებელი ქარიშხალივით გადაუარა უკრაინას, მიაყენა რა მთავარი დარტყმა მეთაურთა შემადგენლობას. "განახლების" ცხრილის თანახმად ცხრა კორპუსის მეთაურიდან შეიცვალა 8, დივიზიის 25 მეთაურიდან შეიცვალა 24, პოლკის 135 მეთაურთაგან შეიცვალა 87, კორპუსის შტაბის 9 უფროსიდან შეიცვალა 6, დივიზიის შტაბის 25 უფროსიდან შეიცვალა 18, პოლკის შტაბის 135 უფროსიდან შეიცვალა 76, ოლქის შტაბის 24 უფროსიდან შეიცვალა 19. სულ ოლქიდან პოლიტიკურ-მორალური მიზეზით დათხოვნილია 2.922 ადამიანი, რომელთა შორის დაპატიმრებულია 1066 პირი. აი, მეთაურთა შემადგენლობის რიგებში ჩატარებული რეპრესიების მასშტაბი.

დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ **"წითელი არმიის რიგების გაწმენდა მტრული ელემენტებისაგან და მათი ჩანაცვლება დაბალი რანგის სამხედრო მოსამსახურეებით... ხელ უწყობენ პოლიტიკური სიმყარის განმტკიცებას და მნიშვნელოვნად ამაღლებენ საბჭოთა წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობას".**

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,**
**(გაგრძელება იქნება)**

# მართლა სულელია, ეს არაკაცი!



***ჩვენ ისეთი ადამიანები მოგვშორდნენ რიგებიდან, რომელსაც ვერასოდეს მოვიშორებდით, როგორც დრომ აჩვენა, ისინი ღირებულებებისა და ფასეულობების ერთგულნი არ იყვნენ, — ამის შესახებ "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ გლდანის მაჟორიტარი დეპუტატების წარდგენისას განაცხადა.***

მისი თქმით, ივანიშვილის კორუმპირებულ რეჟიმთან ბრძოლა მხოლოდ განახლებული **"ნაციონალური მოძრაობის"** ფარგლებშია შესაძლებელი.

**"მე ვარ ამაყი დღეს, როგორც არასოდეს, ვინაიდან ივანიშვილის კორუმპირებულ და კრიმინალურ რეჟიმთან ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ განახლებული "ნაციონალური მოძრაობის" ფარგლებში. ზოგი ჭირი მარგებელია. ის, რომ "ნაციონალურმა მოძრაობამ" იწვნია მარცხი, ამაში დიდი პლუსიც არის. ჩვენ ისეთი ადამიანები მოგვშორდნენ ჩვენი რიგებიდან, რომელსაც ვერასოდეს მოვიშორებდით. როგორც დრომ აჩვენა, ისინი ღირებულებებისა და ფასეულობების ერთგულნი არ იყვნენ. რომ არა ის ცნობილი მოვლენები, რომლებიც "ნაციონალური მოძრაობის" რიგებში უახლოეს წარსულში განვითარდა, დღეს ზალიკო უდუმაშვილი არ იქნებოდა ამ გუნდის მერობის კანდიდატი. მე დარწმუნებული ვარ, ზალიკო უდუმაშვილი არ დათანხმდებოდა იმ შემოთავაზებას, რომელსაც დათანხმდა. "ქართულმა ოცნებამ", ერთი მხრივ "ნაციონალური მოძრაობისთვის" შეასრულა ფუნქცია, რომელსაც ასრულებს მგელი ტყისთვის. ტყის სანიტრის ფუნქცია შეასრულა, მოგვაშორა ის ხალხი, რომელიც იყო დაბრკოლება წინსვლისთვისა და ქვეყნისთვის მეტი სიკეთის მოსატანად",** — განაცხადა ნიკა მელიამ.

თანამედროვე ენაზე რომ გაცნობოთ, **"ნაციონალებში"** ახალი მესიჯი გაჟღერებულა: აი, მიშა ფაქტობრივად გზაშია, მალე ჩამოვა, ბიძინა ივანიშვილის მმართველობა უკვე დასრულებულიაო. დიახაცო, ჩვენ გვეამაყება, მისი ძლევამოსილი პარტიის წევრები რომ გახლავართო, ეგეთი საზოგადოებრივი ჩართულობა, როგორიც ამ პარტიაშია, არსადაც არ არისო. ზალიკო უდუმაშვილი თითქმის თბილისის მერია, ეგ დაამთავრებს არაფორმალურ მმართველობას და საქართველო მოიპოვებს სანუკვარ დამოუკიდებლობასო. ჩვენ უახლოეს ხანში აეროპორტის მისადგომებთან გადავინაცვლებთ, იქ დაველოდებით მიშასო.

კარვები წაიღეთ, შეიძლება მთელი ცხოვრება მოგიწიოთ ლოდინი!

ხვდებით, რა დონეზე დაეცნენ ჩვენი თანამოქალაქე **"ნაცები"**? ეტყობა, მათაც **"ზემოდან"** (უკრაინიდან) ატყუებენ, თორემ წესით უნდა იცოდნენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებით ვერც ხელისუფლებას შეცვლი და ვერც ძალაუფლებას ჩაიგდებ ხელში. ვის დაჰკარგვია, მაგრამ ზაალ უდუმაშვილი სულაც ტახტრევანით რომ მიაბრძანონ თბილისის მერიაში, მაინც არ აქვს აზრი, რადგან ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება მაინც **"ოცნების"** ხელში რჩება.

არადა, ნახეთ, რა მაგრად აჟუილებს დეფი გოგიბედაშვილი, **"ნაციონალების"** გრძნობებაშლილი მგოსანი, რომელსაც ვარდების რევოლუციამდე დავითი ერქვა. ისაო, ზალიკო შეძლებს, თბილისი მიწიერ სამოთხედ აქციოსო. დეფის აღტყინება ერთ ადრეულ ამბავს მახსენებს: ქუთაისში ცხოვრობდა შესანიშნავი მწერალი ოთარ მამფორია. ერთ ზამთარს, მოხუცებულობის პერიოდში თბილისიდან ახალგაზრდა მწერლები ჩავიდნენ, ნახეს, დააფასეს და ეუბნებიან — ბატონო ოთარ, თქვენ ისეთი შემოქმედი ხართ, ქუთაისში ძეგლი უნდა დაგიდგათო. პასუხი: არ მინდა, შვილებო, ძეგლი, მცივა, **"ფეჩი"** დამიდგითო.

ბატონო დეფიუნეს, უდუმაშვილი რომელი მიწიერი სამოთხის აღმშენებელია, კი ვიცით, მაგრამ თუ მაინც ასე გადაწყვიტეთ, სამოთხე არ გვინდა, მოხუცებს ნორმალური პენსიები დაურიგეთ. უფრო მარტივად რომ აგიხსნათ, ძეგლი არ უნდათ, **"ფეჩი"** დაუდგით!

რაღა დაგიმალოთ და... ამ ნიკოლოზ რურუასაც კაი **"მაგარი"** იდეები აწუხებს ლენინივით. არადა, თავის დროზე **"მხედრიონელიც"** იყო, ავტომატითაც დარბოდა და სერიოზული კაცის იმიჯი ჰქონდა მორგებული. აბა, **"მხედრიონელი"** და არასერიოზული გინახავთ? არ ჩამქოლოთ, ვხუმრობ.

როგორც რურუა ამბობს, მეტეხს ადრე მტეხი ერქვა და რადგანაც უდუმაშვილი მეტეხიდან გადმოახედეს **"სამერედ"** გამზადებული, თურმე ეს იქნება ბიძინა ივანიშვილისთვის მტეხი, ანუ გამტეხი და ოლიგარქის დამამხობელი. არა, საერთოდ ნაცებს ძალიან სწამთ სიმბოლოებისა და **"ტუფტა"** თარიღებისა, მაგრამ ბოლო დროს აღარ უმართლებთ. ერთხელ გაუმართლა მიშას, 2003 წლის გიორგობას რომ გაუშვა სახლში ედუარდ შევარდნაძე და მას მერე **"გაბლატავდა"**. მოკლედ, **"ნაცებმა"** გადაწყვიტეს, საქმეში ვახტანგ გორგასალიც ჩართონ და ივანიშვილის ხელისუფლება მეტეხიდან დაამხონ.

უდუმაშვილის დამხობილი ხელისუფლება არ გაიშვა არსად, ეგ რომ მოხდეს, მაშინ თავები უნდა მოვიკლათ საკუთარი ხელით!

პრინციპში, რურუას კი აქვს სახელმწიფო გადატრიალებაში გამოცდილება, მაგრამ როცა გამოცდილება მიიღო, მაშინ სხვა სიტუაცია იყო, ჩვენი სახელმწიფო ძალიან ყანყალებდა, ანუ მყიფე გახლდათ და სწორედ ამით ისარგებლეს მოღალატეებმა!

სხვათა შორის, **"ნაციონალებშიც"** არიან შედარებით რეალისტები, რომლებიც ჩუმჩუმად ბუზღუნებენ, რომ უდუმაშვილი არც სახელით, არც გვარით, არც მონდომებით, არც ტემპერამენტით, არც გამოცდილებით არ აკმაყოფილებს მათ გემოვნებას. ჩვენაო, სხვას ვუკიჟინებთ, უნიათოები ხართო და აქეთ შემოგვტენეს ყველაზე უნიათო კანდიდატიო. მეტიცო, უდუმაშვილს ისე ესმის პოლიტიკა და თბილისის პრობლემატიკა, როგორც სახედარს იურისპრუდენციაო. მართალია... აი, მეც მაგ აზრზე ვიყავი თავიდანვე და სულ ვფიქრობდი, ნეტა მიხა სააკაშვილს საბოლოოდ ხომ არ აქვს გადაწყვეტილი, საერთოდ გამოაფარჩაკოს თავისივე პარტია? ნუ გამოვრიცხავთ, რომ რაკი წონიანი ფიგურები წავიდნენ, შური იძიოს. აბა, პარტიის სახედ მეგი გოცირიძე რომ გეყოლება და მთავარ იდეოლოგად კიდევ მაია ორჯონიკიძე (გაუგებარი ეთნიკური წარმოშობის ადამიანი, მამის საბუთებით კი პირწავარდნილი სომეხი), სხვა რა უნდა იფიქრო? თუმცა აქ არის მეორე მომენტიც: მიხა უკვე ისეა გადასული ჭკუიდან, ისეა ამოვარდნილი გრაფიკიდან, რას შვრება და რას აკეთებს, აღარ იცის. რომ გითხრათ, ადრე იცოდა-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ სისტემა სათავისოდ მაინც ჰქონდა აწყობილი.

ჩემეული დასკვნა: დიახ, ვეთანხმები **"ნაცების"** წიაღში გაგონილ მოსაზრებას — უდუმაშვილს ისე ესმის პოლიტიკა და თბილისის პრობლემატიკა, როგორც სახედარს იურისპრუდენცია!

უდუმაშვილი თავის უპირატესობად მიიჩნევს იმას, რომ მისი მშობლები თბილისში არიან დაკრძალულები და, ე.ი. **"კარენოი თბილისელია"**. ამ საქმის შეღავათად მხოლოდ ის უნდა მივიჩნიოთ, რომ უდუმაშვილი აღდგომის დღესასწაულებზე ქალაქიდან არ გავა და თბილისში გააგორებს შეღებილ კვერცხებს.

თუ ამ კუთხიდან შევაფასებთ მერობის კანდიდასტის ღირსება, მეზობელი მყავს — ქურთი მტვირთავი-მუშა სეკო, რომლის მშობლები კი არა, მეოცე წინაპარიც კი თბილისშია დაკრძალული. აქ უკვე არჩევნების ხარჯის გაღებაც არ დაგვჭირდება, რადგან სეკო პირდაპირ უნდა ჩავაბრძანოთ თბილისის მერის სავარძელში!

ჯერ ერთი, უდუმაშვილს მინდა ვკითხო, რომელმაც ამას წინათ რიხით განაცხადა, რომ მე გაბრაზებული თბილისელების მერობის კანდიდატი ვარო. საინტერესოა, რომელი გაბრაზებული თბილისელები ჰყავს მხედველობაში უდუმაშვილს — გლდანის ციხიდან რომ მოისმოდა მათი განწირული ღრიალი, როცა უდუმაშვილის თანაგუნდელებისა და მათი სადისტი ბელადის სააკიანცის განკარგულებით რომ აუპატიურებდნენ **"დუბინკებით"**, სკამის ფეხით თუ ხისფეხიანი კასტილებიანი კაცით?

იქნებ იმ გაბრაზებული თბილისელების კანდიდატია, 7 ნოემბერს და 26 მაისს რომ დაახეთქეს თავპირი ნაციონალთა კანიბალებმა და მშვიდობიანი დემონსტრაცია სასაკლაოდ უქციეს?

იქნებ იმ გაბრაზებული თბილისელების კანდიდატია, ლამის მთელი ქალაქის მოსახლეობა პრობაციონერებად რომ აქციეს და ციხეებში რომ გამოკეტეს ხანგრძლივი ვადით უდუმაშვილის მხარდამჭერმა ნაცზონდერებმა?

იქნებ იმ გაბრაზებული ორთაჭალელების კანდიდატია, ნავთლუღის სადგურზე ახალაიების მიერ სადგურზე ჩაცხრილული უდანაშაულო ბიჭების სულის ამოხდომის ხმა რომ გაიგეს?

იქნებ იმ გაბრაზებული მამის, რომელსაც შვილი მხეცურად მოუკლეს კორტებთან, მერე კრიმინალად გამოუცხადეს და ბოლოს, ნატანჯი კაცი, თავად ააფეთქეს შვილის საფლავზე?

იქნებ იმ გაბრაზებული **"ჩარეცხილი"** აკადემიკოსებისა და პროფესორების, ნაწამები პატიმრების, გაძარცვული ბიზნესმენების და უმიზეზოდ დაჭერილი სპორტსმენების კანდიდატია, რომლებიც დღემდე ეძებენ სამართალს?

მართლაც ბრიყვი უნდა იყო, რომ ამის ჩამდენი არაკაცების მწყობრში ჩადგე და თავი ისე დაიჭირო, რომ ვითომ არაფერ შუაში ხარ!

ნაძირალები ხომ არიან ნაცები და მათი მხარდამჭერები, მელიას მაგალითზე ვრწმუნდები, რომ ისინი სულელებიც არიან და მიზანს საბოლოოდ აცდენილებმა შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს საგიჟეთში ამოჰყონ თავი, საიდანაც მათ ტანზანიაში გადახვეწილი თავქარქაშა დაშნაკი ბელადიც კი ვერ დაიხსნის!

სულელია ყველა ის ქართველი, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ხვდება, თუ რატომ უნდოდა საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანა ეთნიკურ სომეხს და პოლიტიკურ დაშნაკცუტიუნელ არამზადა სააკიანცს!

სულელია ან ნაძირალაა ყველა ის ქართველი, რომელიც არ იბრძვის საიმისოდ, რომ საქართველოს მოაშორონ სომეხი სააკიანცის მიერ შემოტენილი არაქართული დროშა და ღერბი და დაუბრუნონ ისტორიული სამფერიანი დროშა, რომელიც სულმნათმა ზვიად გამსახურდიამ აღუდგინა საქართველოს.

ახლა მაინც თუ ხვდებით, რატომაა სულელი (ნაძირალაც) ნიკანორ მელია?

ან რატომ არის თავგამოთაყვანებული იმ ავადმყოფთა მასა, რომელსაც სჯერა, რომ ავადსახსენებელი ნაცსექტა კვლავ დაიკავებს საქართველოს მართვის სადავეებს.

მათ უკვე დააკავებინა ქართველმა ხალხმა ის, რაც ეკუთვნოდათ და პოლიტიკურ მოუსავლეთში გაუშვა.

გზაც იქით ჰქონიათ!

**შეადგინა რ. შალამბერიძემ**

## პოეზიის კუთხე

*სათრეველები*

### მოკანაფეები

მიხოს ნამხედრალთა ოდნავ წახედვა და
ველარ ავშორდებით გზას — საშიშს;
„გირჩი" გაქირზეა, ძალზე ავი ზნე აქვს,
როცა კანაფს გვიქებს და ჰაშიშს!

### მეუღლე და შენები?

„მოძრაობას შენების"
მეუღლე და შენები,
დავით უსუფაშვილო,
რით გსურს დაუკავშირო?

### შეკვეთილი

ბილწი მაინც ვერ გახდება ზნეკეთილი,
თუნდაც ასჯერ რომ უჩვენო
შეკვეთილი!

### ბუტე-ბუტე

ამბიციამ შეაწუხა მეტის მეტად
და სოროსელს გაეზარდა ძალზე მადა,
„ბუტე-ბუტე!" — მიტომ ბრძანა პრეზიდენტმა,
მომავალშიც ტახტი უნდა საჯდომადა!

### ბიბილოთის* ბიბილო

თიბილოთი წავიდა და მოიყვანეს
ბიბილოთი,
დიდი ლოთი ბუნებით და ქურდი — მამლის ბიბილოთი,
სურს, დაამხოს ჩვენი კერა და
ქვევრებში ცხვირი ჩაყოს,
იმიტომაც ლოკავს ჩექმას, სამაჩაბლო
უნდა ჯაყოს!

**ალექსანდრე შენგელია**

*ბიბილოთია და არა ბიბილოვი, ისევე, როგორც ბარათაშვილი და არა-ბარათოვი

### დაასხით ღვინო

დაასხით ღვინო, რომ დავილოცოთ,
სანამ წავედით მარად უკუნეთს;
არ ვართ მესია და არც უხორცო,
ჩვენია მხოლოდ დღე — საუკუნე.
გულით შეუნდოთ ვინც საპყარია,
შემოდგით ღვინო მაღლა „ბიდონით"...
ვინძლო, დღეს ჩვენი გასაყარია,
ეგებ მოგვადგა არმაგედონი?!
მაგრამ მე, ძმებო, არ ვურჩევ
მოკვდავს:
ცხოვრების გზაში არმად იცუროს.
სანამ გონების ნათელი მოკვდა,
მომავლის რწმენა არ გადიწუროს.
გონება სიბრძნით დაგვიგეშია,
ვერას დაგვაკლებს სუსხი ზამთარის;
დაასხით ღვინო, გეტყვით ეშხიანს:
პატარა ლექსებს მზისა და მთვარის.
დაასხით ღვინო, სანამ მწყურია,
ნუ დამამადლით ღვინო-ელექსირს...
ქალის ტუჩივით რა მაცდურია,
მაინც ღვინოა უპირველესი!
დაასხით ღვინო, მორჩით ბოდიალს,
გულთან ვარამი არ გაიკაროთ;
ქალი მოიცდის, მგელი როდია,
ტყეში გაიქცეს ან გაიპაროს.
გეყოთ ლაყბობა, ენის ტარტალი,
მიდი თამადავ, ჰო კაპიტანო!
ღვინით შემივსეთ ლუდის
„ბოკალი",
გოლი ცხრიანში რომ გავიტანო!
ნეტავ, უღვინოდ რა გაგვაცინებს,
შევიმსუბუქოთ გულის დარდები,
მერე რად გვინდა, როს გაგვაცილებს:
ღვინო, მუსიკა, ცრემლი, ვარდები?!
მომართე ჩანგი, აბა მაესტრო,
თამადავ, შენ ხარ სუფრის განმგები;
ჩვენს გვერდით ყოფნას ვინც
ვერ მოესწრო,
მათ საკადრისი ვუძღვნათ ჰანგები.
დაასხი, ბიჭო, ცოლიკაური,
ძარღვებში ცეცხლად გაიბრიალოს;
კოლხა-აიას ეშხით, აურით
მეგრულმა სუფრამ დაიგრიალოს!

**გურამ ჯიქია.**
ჩხოროწყუ, ს. ლესიჭინე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მურასალავაშებით დაგეშილნი

**რამდენჯერაც საზღვრისპირა ადიდებული მდინარეები კალაპოტს შეიცვლიან, იმდენჯერ აზერბაიჯანს, სომხეთს და თურქეთს ასობით ჰექტარი ქართული მიწა უნდა მივცეთ.**

მავანნი ამგვარ გადაცემას მდინარეთა ადიდებით ამართლებენ, რომლებიც რატომღაც ყოველთვის საქართველოს მიწას იტაცებენ.



მავანნი ათასობით ჰექტარი ქართული მიწების მიყიდვას არაბებზე, ჩინელებზე, ინდოელებზე, ხატაელებზე იმით ამართლებენ, რომ თურმე ქართველი კაცი ზარმაცი ყოფილა, მიწას არ ხნავსო, არ თესავო, არ უვლისო... ამიტომ, გამოუყენებლი მიწა სჯობს გავყიდოთო, ყველაფერი გავყიდოთ სინდისის გარდაო!

დღეს საქართველოში ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც ერთი შეხედვით ალოგიკურია. მაგრამ ამ ალოგიკურობასაც თავისი მიზეზი აქვს.

როცა ხელისუფლება დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს აღნიშნავს, საინტერესოა რატომ არ წყალობენ მენშევიკური ხელისუფლების შინდისფერ დროშას? 90-იან წლებში ეროვნული მოძრაობა ამ დროშით იბრძოდა, გამარჯვების შემდეგ კი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად ამ დროშას სახელმწიფო დროშის სტატუსი აღუდგინა.

ხელისუფლება კი თვალისჩინივით უფრთხილდება მიშა სააკაშვილის პარტიულ დროშას, იმ საეჭვო წარმომავლობის არაქართულ დროშას, რომელიც მან საქართველოს სახელმწიფო დროშად აქცია.

მიხეილ სააკაშვილს დაჭერას უპირებდნენ როგორც სახელმწიფო დამნაშავეს, მაგრამ მის პარტიულ დროშას კი არა ცვლიან!

სპეციალისტები აღნიშნავენ საქართველოს დროშის, ჰიმნის და გერბის არასრულფასოვნებას, მაგრამ მათი ხმა რჩება უდაბნოში მღაღადებელთა ხმად.

ერთ-ერთი მათგანი, დიდი მამულიშვილი გურამ შარაძე დღისით-მზისით ქუჩაში ვერაგულად მოკლეს!

ხელისუფლება კბილებით იცავს საქართველოში კატასტროფულად მომრავლებულ სატანისტური სექტებს, მაგრამ ეს ადამიანები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ეკლესიაში ხვდებიან და კისრისტეხით ცდილობენ პატრიარქის გვერდით დგომას ხელში ანთებული სანთლებით.

ფარისევლები!

როცა ხელისუფლება მეზობელი დიდი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ ათეული წლების მანძილზე ნატოში შესვლას ჩალიჩობს, უნდა მიხვდეს, რომ საკუთარ ქვეყანას და ხალხს სასიკვდილო საფრთხის წინაშე აყენებს, უნდა მიხვდეს, რომ დასავლეთის სახელმწიფოების დახმარების იმედია არ უნდა ჰქონდეს. ამის მაგალითად 2008 წლის ომი და სამაჩაბლოს დაკარგვაც კმარა!

ხელისუფლებამ, ვიღაც ჯიპას ექსპერტ-პროფესორის ჭკუაზე არ უნდა იაროს, რომელიც გვმოძღვრავს, რომ საქართველოში ნატოს საწვრთნელი ბაზების არსებობა უსაფრთხოების გარანტია არისო!

როცა ხელისუფლება დავით აღმაშენებლის ძეგლს დედაქალაქში თავის ღირსეულ ადგილს ვერ მიუჩენს და თბილისში არსებული ამერიკის პრეზიდენტთა ძეგლებითა და მათი სახელობის ქუჩებით ტრაბახობს, მისგან ეროვნული საქმის გაკეთების იმედი არ უნდა გვქონდეს!

როცა ხელისუფლება მეზობელი (**„ისტორიული მეგობრის“**) სახელმწიფოს ელჩის მითითებით დიდგორის ომის მნიშვნელობას და თარიღის მიაჩუმათებს, ხელისუფლების წარმომადგენელი თურქეთში ოფიციალური ვიზიტით ჩავა, იქ მას მარტო თურქეთის დროშის ფრიალით დახვდებიან და ამის შემდეგ **„კარალევა მარგოდ“** წოდებული და სექსმრისხანება ქართული დიპლომატიის გამარჯვების შესახებ ლაპარაკობს, მაშინ ყველაფერი ლაგდება, ალოგიკური არაფერია.

ფულით მოყელზეითებულ გლობალისტ-მასონებს ხელს არ აძლევთ არც მართლმადიდებლობა, არც ერის კულტურა და მისი ისტორია, არც ეროვნული სულით დამუხტული სახელმწიფო სიმბოლიკები! მათი მიზანია ერი გადააქციონ ბოგანო, სხვათა ხელისშემყურე, არაფრისმქონე და არაფრისმცოდნე, უცხო ქვეყნებში მოხეტიალე მოსამსახურეთა ბრბოდ, რასაც ჯერჯერობით წარმატებით ახორციელებენ!

ჩვენ ხელისუფლებას მემკვიდრეობით მიღებული აღას შნო, ყაირათი და ჭკუა ჰყოფნის იმისთვის, რათა ქართველი ერის ბრძოლით მოპოვებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მონაპოვრები გააბრიაბრუოს, ერის სულიერი განვითარება, ქვეყნის მატერიალური წინსვლა დაამუხრუჭოს, რითაც გლობალისტი მასონთა მიზნების აღსრულებას ხელს უწყობს და რითაც მათ დიდ ნდობასა და მურასალავაშებს იმსახურებს!

აი, მიზეზი საქართველოს დღევანდელი ყოფისა!

**თენგიზ კუბლაშვილი**

# ტრულეილას ქმარი რად უნდა...

ყოფილი აზერბაიჯანელი სპეცრაზმელისა და ჟურნალისტად წოდებული აფგან მუხთარლის თბილისიდან გაუჩინარების ამბავი საქართველოსთვის სერიოზულ თავის ტკივილად იქცა, თუმცა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ამბავი საქართველოს თავის ტკივილად უქციეს უცხოურ გრანტებზე გაყიდულმა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ტვინნამცეცა ქართველმა ლიბერასტებმა, რომლებიც საოცარი მონდომებით ცდილობენ, თავიანთი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე დაამცირონ და ლაფში ამოგანგლონ.

დიახ, ძვირფასო მკითხველო, მეტისმეტი გაოცებისაგან პირი მაქვს დაბჩენილი, როცა ვუყურებ – საქართველოს მოქალაქეები, ქართული სახელისა და გვარის მქონე ადამიანები თავიანთ სამშობლოს ვიღაც ევროპელ პოლიტიკანებთან როგორ აბეზღებენ და როგორ არ იშურებენ ძალისხმევას, რომ აზერბაიჯანელი მუხთარლის გამო საქართველო რაც შეიძლება მკაცრად დაისაჯოს.

თანაც, ეს ქართველი ლიბერასტები – სამშობლოს განცდისაგან სრულიად დაწრეტილი რენეგატები – ამას იმიტომ აკეთებენ, რომ უცხოელი დონორებისაგან დამატებითი გრანტები ჩაიჯიბონ.

ვთქვათ, საქართველოს ხელისუფლება მართლა გასულელდა, მუხთარლი **“მეშოკით”** მოიტაცა და აზერბაიჯანის ხელისუფლებას გადასცა, იმაზე კი საერთოდ არ იფიქრა, რამხელა საერთაშორისო სკანდალი მოყვებოდა ამას და საერთაშორისო არენაზე ქართული სახელმწიფოს იმიჯი როგორ დაზარალდებოდა... დიახ, ერთი წამით დავუშვათ, რომ ეს ასე მოხდა და კითხვა დავსვათ – თუ ქართველ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ლიბერასტებს ქართულ სახელმწიფოსა და დემოკრატიაზე შესტკივათ გული, როგორ უნდა მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში?

პასუხი ერთადერთია – მაქსიმალურად უნდა ეცადონ, რომ ხელისუფლების სიბრიყვის გამო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი საქართველო რაც შეიძლება მსუბუქად გამოაძვრინონ საერთაშორისო წნეხიდან! დიახ, ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ ქართულმა სახელმწიფომ, ხელისუფალთა დოყლაპიობის გამო რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური ფასი გადაიხადოს და საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში რაც შეიძლება ნაკლებად დაკნინდეს!

ესენი კი რას შვრებიან? – ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ საქართველო რაც შეიძლება მეტად მოექცეს საერთაშორისო წნეხის ქვეშ, ქართული სახელმწიფო რაც შეიძლება მკაცრად დაისაჯოს და რაც შეიძლება ძვირი პოლიტიკური ფასი გადაიხადოს!

კი მაგრამ, რატომ შვრებიან ამას ქართველი ლიბერასტები?! რატომ ცდილობენ თავიანთი ქვეყანა აზერბაიჯანელ მუხთარლის გადააყოლონ? საქართველო მათი სამშობლო არ არის?! აქ არ ცხოვრობენ?! აქ არ ზრდიან თავიანთ შვილებს?!

საქმე ის არის, რომ ქართველი ლიბერასტებისთვის საქართველო, როგორც სამშობლო, არ არსებობს! დიახ, საქართველო მათთვის მხოლოდ ტერიტორიაა, სადაც ბიოლოგიურად არსებობენ და ცდილობენ, ეს ტერიტორია მაქსიმალურად გამოიყენონ მატერიალური სარგებლის მისაღებად.

ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც სწორედ ასე ხდება – მუხთარლის საქმეს მსუყე გრანტების დათრევის სუნი ასდის და ქართველი ლიბერასტებიც სვავებივით აფუთფუთდნენ, რადგან იციან, რაც უფრო აქტიურად გაილაშქრებენ დასავლეთში საქართველოს წინააღმდეგ, მით უფრო საქმიან გამორჩენას ნახავენ ძია სოროსის ჯიბიდან თუ უცხოური ფონდებიდან.

ყველაზე სავალალო კი ის არის, რომ ამ პროცესში – საერთაშორისო ასპარეზზე ქართული სახლმწიფოს დაკნინებასა და გათახსირებაში – აქტიურად არის ჩართული საქართველოს პრეზიდენტად წოდებული მარგველაშვილი, რომელმაც გასულ კვირას სააკაშვილის ავლაბრის სასახლეში დიდი პატივით მიიღო აფგან მუხთარლის ცოლი ლეილა მუსტაფაევა.

დიახ, ძვირფასო მკითხველო, სააკაშვილის რეზიდენციაში მარგველაშვილმა სწორედ იმ მუსტაფაევას მოუწყო აუდიენცია, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ბრიუსელში ევროპარლამენტარებს შეხვდა და მათგან მოითხოვა, რომ მუხთარლის **“გატაცების”** გამო საქართველო მკაცრად დაისაჯოს.

წარმოიდგინეთ – არც საქართველოსა და არც აზერბაიჯანში გამოძიება არ დასრულებულა, დადგენილი და დამტკიცებული არ არის, მუხთარლი მართლა გაიტაცეს თუ საქართველოდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თვითონ გადავიდა, გამოკვეთილი არ არის ქართველი სამართალდამცავებისა თუ სპეცსამსახურების თანამშრომელთა მონაწილეობა მუხთარლის გაუჩინარების საქმეში და ამ დროს მისი ცოლი ლეილა თუ ტრულეილა გამოდის და ქართულ სახელმწიფოს უაპელაციოდ ადებს ხელს!

დიახ, მუხთარლის ცოლი ტრულეილა, რომელიც არც ქართველია და არც საქართველოს მოქალაქე, საერთაშორისო ასპარეზზე ქართული სახელმწიფოს დისკრედიტაციით არის დაკავებული, საქართველოს პრეზიდენტი კი მას სასახლეში ზარზეიმით იღებს და მხარდაჭერას უცხადებს, ნაცვლად იმისა, რომ დამსახურებული საყვედური სტკიცოს – ქალბატონო მუსტაფაევა, თქვენ, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც საქართველომ შეგიფარათ, სულაც არა გაქვთ იმის უფლება, ევროპაში საქართველო აძაგოთ და მის ხელისუფლებას ყოველგვარი სამტკიცის გარეშე ბრალი დასდოთ!

დიახ, მარგველაშვილი მართლა საქართველოს პრეზიდენტი რომ იყოს და ქართული სახელმწიფოს პრესტიჟი რამედ უღირდეს, ყველა პროვოკატორ ლეილასა თუ ტრულეილას სწორედ ასე უნდა დაელაპარაკოს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის უბედურება ის არის, რომ სააკაშვილის რეზიდენციაში მარგველაშვილის სახით, საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცველი კი არა, ჩვეულებრივი ლიბერასტი გვიზის, რომელსაც **“ოცნების”** ხელისუფლების ბოღმა ახრჩობს და ნებისმიერ წუთს მზად არის, საკუთარ სამშობლოს კვანტი გამოსდოს!

მოკლედ, **“კარალევა მარგო”** და ტრულეილა მუსტაფაევა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ერთდროულად მოქმედებენ და ცდილობენ, რომ ევროპამ საქართველო შეაჩვენოს!

ისე, ქალბატონი ტრულეილა თავისი ქმრის ბედით ასე გულდათუთქული თუ არის, თბილისში რას უზის და ავლაბრის რეზიდენციაში რას დაიარება?! რატომ არ ჩადის იგი ბაქოში, სადაც მისი აფგანია დატუსაღებული და რატომ არ უწყობს საპროტესტო აქციებს აზერბაიჯანის ხელისუფლება?

ამხელა საერთაშორისო სკანდალის შემდეგ მუხთარლის ცოლს აზერბაიჯანში დაპატიმრება ნამდვილად არ ემუქრება, მას თავის სამშობლოში ხელს ვერავინ ახლებს და წავიდეს – პრეზიდენტ ალიევის რეზიდენციასთან კარავი გაშალოს, შიმშილობა გამოაცხადოს და ქმრის გათავისუფლება მოითხოვოს!

რა ხდება, რატომ არ აკეთებს ამას ტრულეილა?!

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ქალბატონ ტრულეილას თავისი ქმრის პატიმრობა ნაკლებად ადარდებს. მეტიც, მისთვის, როგორც ალიევის ხელისუფლების ოპოზიციისათვის, მუხთარლის ციხეში ყოფნა და ამ საქმეზე საერთაშორისო წიოკის ატეხვა, პოლიტიკურად ძალიან ხელსაყრელია.

მოკლედ, **“ტრულაილას ფული რად უნდა”** კი არა და, ტრულეილას ქმარი რად უნდა გარეთ, როცა მისი ციხეში ყოფნა პოლიტიკურადაც და ფინანსურ-გრანტობრივადაც გაცილებით მომგებიანია როგორც თვითონ ტრულეილასთვის, ისე მთლიანად ანტი-ალიევური ძალებისთვის, რომელიც თბილისში არიან დაბანაკებული და აქედან ცდილობენ ბაქოში **“ფერადი რევოლუციის”** მოწყობას.

ის კი არა, თბილისს გასულ კვირას აზერბაიჯანული ოპოზიციური პარტია **“მუსავატის”** ლიდერი არიფ ჰაჯილიც კი სტუმრობდა, რომელმაც თავს უფლება მისცა, რომ საქართველო გვარიანად გამოელანძღა – ეს ქვეყანა ადრე ჩვენს რეგიონში დემოკრატიის შუქურად ითვლებოდა, ახლა კი ასე არ არის და საქართველოში რომ მოვდიოდი მეგობრებმა გამაფრთხილეს, თბილისის ქუჩებში მარტოს არ მევლოო.

ეჰ, ბატონო არიფ, თბილისის ქუჩებში მარტო სიარული სახიფათო სწორედ მაშინ იყო, თქვენ რომ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურა გეგონათ! დიახ, სახიფათო იყო, იმიტომ, რომ კაფედან გაგიტაცებდნენ და ტყეში წამებით მოგკლავდნენ, ქუჩიდან გაგიტაცებდნენ, კატერით შუა ზღვაში გაგიყვანდნენ, შუბლში ტყვიას დაგახლიდნენ, მერე შენს გვამს ფეხზე ბეტონის ნატეხს გამოაბამდნენ და თევზების საჯიჯგნად გადაუძახებდნენ!

დიახ, არიფო, ეს სწორედ მაშინ ხდებოდა, როცა საქართველო **“რეგიონში დემოკრატიის შუქურა იყო”**!

თქვენ და ქალბატონი ტრულეილა კი ახლა თბილისის ქუჩებში თავისუფლად დასეირნობთ, თან საქართველოს ლანძღავთ, თან საქართველოს პრეზიდენტად წოდებული სუბიექტი სასახლეში პატივით გიღებთ!

ეჰ, მართლაც ახია **“ქართულ ოცნებაზეც”** და ჩვენს ქვეყანაზეც მარგველაშვილის პრეზიდენტობა, ტრულეილას უტიფრობა და არიფის თავხედობა!

დიახ, ახია, იმიტომ, რომ არცერთი თავმოყვარე ქვეყანა **“კარალევა მარგოს”** პრეზიდენტად არ მოითმენდა, ტრულეილასა და არიფის მსგავს პროვოკატორებს კი საკუთარ ტერიტორიაზე ფეხსაც არ დაადგმევინებდა!

**ჯაბა ხუბუა**

# დასავლური შიზოფრენია და ქართული რეალობა

**ამას წინათ ფოთიდან „საქართველო და მსოფლიოს" მკითხველი, სპორტის ვეტერანი — ვახტანგ ალანია დამიკავშირდა და მითხრა: „საქართველო და მსოფლიო" ერთადერთი გაზეთია, რომელიც თავის პრინციპებს, იდეოლოგიას და საქართველოს გადარჩენის გზას არ ღალატობს, სხვა მედიასაშუალებებისგან განსხვავებით". მკითხველმა აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ტელეკომპანია „ობიექტივის" ეთერიდან გ. არეშიძის საავტორო გადაცემაში რუსეთს არასასურველ კონტექსტში მოიხსენიებენ და შემდეგ ქართველ ხალხს მიმართავენ: — „თქვენ თვითონ განსაჯეთ, საქართველოსთვის თურქეთთან ურთიერთობა უფრო პრიორიტეტულია თუ რუსეთთან (?!)".**

— „დასავლეთს საქართველოსთვის ოქროს სასახლეები რომ აეშენებინა, მაინც არ უნდა ვლანძღოთ რუსეთი, რომელმაც გარდა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესისა ქართველებს ღიმილი გვაჩუქა" — აღნიშნა დასასრულს ვ. ალანიამ.

ტელეკომპანია „ობიექტივი" ერთადერთ დემოკრატიულ არხად არის მიჩნეული (თუ არ ჩავთვლით, რომ თავად დემოკრატია იდეოლოგიური ძალადობაა ტრადიციული ცნობიერების მქონე ერებზე), რომლის ეთერშიც ყველას აქვს თავისი აზრის გამოხატვის საშუალება. მიუხედავად ამისა, პარტიული ტელევიზიის ეთერი განსხვავებული იდეოლოგიისთვის (ვალერი კვარაცხელიას საავტორო გადაცემები) მას შემდეგ დაიხურა, რაც „პატრიოტთა ალიანსის" წარმომადგენლები პარლამენტში შევიდნენ. ხალხის მოთხოვნის შემდეგ მოწყალებასავით აღადგინეს გადაცემები, მაგრამ არა იმ რეჟიმში (კვირაში 2 დღე), არამედ 2 კვირაში ერთხელ. აი, ასე დემოკრატიულად სცემენ პატივს და ითვალისწინებენ ხალხის აზრს. „ობიექტივის" ეთერიდან პატრიოტულ იდეებსაც ვისმენთ, რასაც მონატრებულია საქართველოს მოსახლეობა. უაღრესად პატრიოტულია და სრულიად ვეთანხმები ბ-ნ დავით თარხან-მოურავის მოწოდებას, რომ უნდა დავიცვათ ქართული ინტერესი მსოფლიოში, რადგან ჩვენთვის საქართველოა უპირველესი. იმ მოსაზრებასაც სრულიად ვეთანხმები, რომ „დღეს დამპყრობელი მოდის ჩაგრულის ნიღბით, მოდის და გვეუბნება: ვიჩაგრები, დაიცავი ჩემი უფლებები, მაგრამ სინამდვილეში ცდილობს სამშობლო დაგვავიწყოს".

ქართველმა მოაზროვნე საზოგადოებამ დიდი ხანია ნიღაბი ჩამოხსნა „მეგობრად" მოსულ მტერს. ახლა ის დროა, თავად ჩამოიხსნას ნიღაბი ბ-მა დავითმა და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას. ეს მტერი რუსეთი არ არის. ის არც სამშობლოს დავიწყებისკენ გვიბიძგებს, არც თავისი უფლებების დაცვისაკენ. ეს ის დასავლეთია, რომელიც ყველა ქვეყნის საშინაო საქმეებში ერევა. მაშ რატომ დარბიან „პატრიოტთა ალიანსის" წევრები დასავლეთში? ამაზე პასუხი პირდაპირ ეთერში ამ პარტიის წარმომადგენლისგან მივიღე: ჩვენი ეროვნული მეფეებიც დადიოდნენ აღმოსავლეთში, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია ეროვნული საქმე ეკეთებინათო. ეს ის დრო იყო, როცა ქვეყნის ფაქტობრივი მმართველები აღმოსავლეთის მბრძანებლები იყვნენ.

ხომ არ არის ეს თვითილუსტრაცია, ახლა ქვეყნის მმართველად ევროპელ და ამერიკელ ნაბიჭვრებს მივიჩნევთ? ბ-ნი დავითი ამერიკელებს უკმევს, როცა დეზინფორმაციას ავრცელებს: „ნახეთ რა უქნა რუსეთმა უკრაინას?" მისგან რადიკალურად განსხვავებულ ხედვას შემოგთავაზებთ: „ნახეთ რა დამართა დასავლეთმა უკრაინას? უკრაინელებს კიევის რუსეთიც დაავიწყა, ორი მონათესავე ერი ერთმანეთს გადაკიდა, ხოლო უკრაინა №1 კორუმპირებულ ქვეყნად იქცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, რაც შეეხება უკრაინული მაიდნის მოწყობას ამერიკის სპეცსამსახურების მიერ, ამაზე ღიად საუბრობენ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ოფიცერი — რეი მაკჰოვენი და ექსპერტი — პოლკრეიკ რობერტსი — ეს ბ-მა პოლიტიკოსმა უნდა იცოდეს. პატრიოტიზმი არ არის, როცა უკრაინის რეალურ დამანგრეველს არ ასახელებ და საკუთარი პატრონების — მაღალი დონის სენატორებთან ნაცნობობით თავს იწონებენ. ამასთანავე, ამ იდეოლოგიის მოქნე არსებებთან უკეთეს პარტნიორობაზე ოცნებობ. (ჩვენ უკეთეს პარტნიორობას გავუწევთო) ამერიკის სენატი ამერიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებებსაც არ ეთანხმება და ბ-ნი დავითის მოსაზრებებს გაიზიარებს? — ირმა ინაშვილი უფრო ადვილად ატყუებს ხალხს — აცხადებს მოტივტივე ლიბერასტი — ლ. ბერძენიშვილი.

არ ვიცი რას გულისხმობს ბ-ნი ლევანი, მაგრამ ვიცი, რომ რუსეთის „საერთაშორისო ბანდიტად" გამოცხადება არ არის პატრიოტიზმი. საუკუნეების მანძილზე პატრიოტიზმი გვაერთიანებდა. ლიბერასტულ საქართველოში პატრიოტული თემატიკა საერთოდ ამოღებულია ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკიდან. მწერლებსაც ისეთს ირჩევენ, ამ იდეოლოგიასთან საერთო არაფერი აქვთ. თუ რუსეთის „ოკუპაცის" პირობებში უმნიშვნელოვანესი იყო ეს თემა, ახლა „თავისუფალ" საქართველოში ქართველების ხელით რატომ იბლოკება? იქნებ პატრიოტმა ი. ინაშვილმა ამ საკითხს მიაქციოს ყურადღება და არა იმ იდეას, რაც შეიძლება მეტი პარტია იყოს და ყველა „ქართულ ოცნებას" დაუპირისპირდეს. — პირველობა გინდათ? „პატრიოტების" პატრიოტიზმზე კითხვის ნიშნები არ უნდა ჩნდებოდეს! — ნამდვილი, მამაკაცური პატრიოტიზმია საჭირო ქვეყნისთვის, როგორც მაშინ იყო! — ამბობს ერთ-ერთი ვეტერანი 9 მაისისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე. — მაშინ ქვეყნის სათავეში კაცი იდგა — სტალინის სახით და ქვეყანას იდეოლოგია ჰქონდა. ახლა, სამწუხაროდ, ლიბერასტ-პედერასტები არიან. რაც შეეხება იმ ევროპულ ღირებულებებს, რაზეც ჩაციკლულნი არიან სახელისუფლებო თუ ოპოზიციური პარტიები, საკითხავია, უნდა კი ტრადიციული ღირებულებების მქონე საქართველოს ის „საერთო ევროპული ოჯახი", სადაც ქვეყნებს არატრადიციული ორიენტაციის წარმომადგენლები მართავენ? იქნებ საერთო სარეცელიც გაიშალონ ამ იდეის მიმდევრებმა ევროპელ ჰომოსექსუალებთან? ეს ქვეყანა ამ ხელისუფლების საკუთრება არ არის. აქ ქვეყნის მომავალი თაობებმა უნდა ააშენონ.

რა მემკვიდრეობას ვუტოვებთ იმ თაობას, რომელსაც ცნობიერება დაუნგრიეს და უამრავი პასუხგაუცემელი შეკითხვა დაუტოვეს? — კალთებშემოძარცვულ ქვეყანას საზღვრებისა და იდეოლოგიის გარეშე!

იცით რას უნერგავენ სტუდენტებს? — სახელმწიფო სტრუქტურები როგორც აზროვნებენ, ჩვენც ისე უნდა ვიაზროვნოთო — გამიმხილა დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა. სახელმწიფო სტრუქტურები, რომელნიც ახალგაზრდებს რობოტებად მოიაზრებენ, საერთოდ არ აზროვნებენ. მათ ნაცვლად ამერიკის ელჩი ფიქრობს, მაგრამ არც ის აზროვნებს. სრულიად იმედგაცრუებული ახალგაზრდობა დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში არაფერი უკეთესობისკენ არ შეიცვლება და ურჩევნიათ დატოვონ სამშობლო.

დასავლეთის ემისრები მედიასაშუალებებს პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იყენებენ. რუსეთისადმი დამოკიდებულება პათოლოგურ ფსიქოზშია გადაზრდილი, რისთვისაც დასავლეთი ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნის ხელისუფლებას აფინანსებს. ტელეკომპანია „ქართული არხი"-ს ეთერში ბ-მა ვ. მაისაიამ პროვოკაციული შეკითხვა დასვა და მეტი დამაჯერებლობისთვის ავტორიტეტული ჟურნალისტი — ჯაბა ხუბუა მოიწვია: იყო თუ არა სააკაშვილი რუსეთის პროექტი? პირდაპირ ეთერში მოვახსენე ვ. მაისაიას რომ მას ალერგია აქვს რუსეთზე და მზად არის ყველაფერი ამაზრზენი მას დაუკავშიროს, ისევე, როგორც სსრკ-ზე ნოსტალგიის მქონე ადამიანები დაუკავშირა ნაცებისთვის ხმის მიმცემებს, რაც სრული შიზოფრენიაა. ვ. მაისაიას ლოგიკას თუ მივყვებით, მაშინ დასავლეთი, რომელიც დღეს ნაცებს ლობირებს, რუსეთის პროექტსა და ინტერესებს ლობირებს. ციხის კადრები, მართლმადიდებლური ეკლესიების ნგრევა, რუსეთის ლანძღვა-გინება და მისთვის დაწესებული სანქციებიც რუსეთის პროექტია? შეიძლება რუსეთი სააკაშვილის პრეზიდენტობის მომხრე იყო, მაგრამ მაშინ ქართველმა არამოაზროვნე საზოგადოებამ დაუჭირა მას მხარი. ჩვენ „ოცნებაც" ავირჩიეთ, მაგრამ დღეს აღარ მოგვწონს დასავლეთის დაკრულზე მოთამაშე პარლამენტარები, რომელთაც საპარლამენტო მანდატთან ერთად ეროვნული და კაცური ღირსების მანდატები არ მიუღათ (ამიტომაც არ უნდა გვიკვირდეს, რომ გასულ წელს 34 მილიონზე მეტი პრემიები დაირიგეს).

ჟურნალისტი ჯ. ხუბუა დაეთანხმა ვ. მაისაიას, რომ სააკაშვილი ნაწილობრივ რუსეთის პროექტიც იყო, რადგან მისი პრეზიდენტობით სწორედ რუსეთმა ისარგებლა. როცა ომში გამარჯვებული დამარცხებულ, მიწაზე მხოხავ ფსიქოპათს კედელთან მიიმწყვდევს ცხადია, თავისი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს. რუსეთს არ უფიქრია უკრაინის მაიდნამდე ყირიმის შემოერთება, 2008წ. ომამდე — ახალგორის. გენიალურმა გ. კლიმოვმა ბრძანა: ერთი დეგენერატი უკეთ ანგრევს ქვეყანას, ვიდრე ატომური ბომბიო. ასეთი დეგენერატი სათავისოდ გამოიყენა რუსეთმა, ხოლო რაც შეეხება მის ქებას ამერიკელთა მიერ, სწორედ ევროპელ მწერალს ეკუთვნის ფრაზა — „სულელს სულელი მაქებარი არ დაელევა" (ნიკოლა ბუალო; საფრანგეთი, მე-17ს.).

— მასზე უკეთეს შემსრულებელს რუსეთი ვერ ინატრებდა, მაშ ამერიკელები სულელები ყოფილან, თუ მათმა ძალისხმევამ რუსეთის წისქვილზე დაასხა წყალი — ცდილობს ჩემს გადარწმუნებას ავტორიტეტული ჟურნალისტი.

ამის პასუხად მინდა ამერიკელების მიერ გადაღებული კლიპი მოვიყვანო, სადაც ოთხი შიმპანზე მღერის და როკავს იმ ტემბრში, როგორც დასავლეთელი ჯაზმენები თუ რეპერები. ამ კლიპით მათ თავიანთ იდენტობას გაუსვეს ხაზი.

**პოლიტოლოგმა ვ. კვარაცხელიამ თავის საავტორო გადაცემაში ტელეკომპანია „იმედის" ეთერში გასული სიუჟეტი წარმოადგინა, სადაც ტვინრეფორმირებული ლიბერასტი ქალბატონი აანონსებს ახალი თაობის პრეზერვატივების წარმოებას, რომელსაც ჩვენი ისტორიული, სათაყვანებელი გმირების სახელები დაარქვეს („დავით აღმაშენებელი", „ქართლის დედა" და სხვ.) ანუ ქართული ღირებულებები პრეზერვატივთან გაათანაბრეს და მათ დაგემოვნებასაც აანონსებენ. ეს თემა არის შეტევა ღირებულებებზე, სიწმინდეებზე და ზნეობაზე, როცა საქართველოში ჩვენივე სიწმინდეების გაუპატიურება ჩვენივე ლიბერასტების ხელით ხდება. რატომ გახმოვანდა ეს თემა? ამ კითხვას პასუხი რომ გავცეთ გენიალური ქართული კინოკომედიიდან (მე, ბებია, ილიკო და ილარიონი) ერთ-ერთი პერსონაჟის (ილარიონის) სიტყვები უნდა გავიხსენოთ: „ეტყობა უგრძნია, უგრძნია!" დიახ, ლიბერასტებმა იგრძნეს, რომ ამერიკელთა პრეზერვატივებად იქცნენ, რომელთაც თავადვე აგემოვნებენ. ლიბერასტები იმასაც მიხვდნენ, რომ ჩვენი ურთიერთობა ამერიკასთან პოლიტიკური პროცესია და არაფერი აქვს საერთო უანგარო მეგობრობასთან. ეს უფრო ბატონყმურ პროცესს გვაგონებს ქვეყნის წარსული ცხოვრებიდან. თუ ზემოაღნიშნული ინოვაცია მხოლოდ გამოხატვის თავისუფლებაა და არა ჩვენი ღირებულებების შეურაცხყოფა, ჩემი თანამოაზრის ინოვაციურ პროექტსაც აქვს არსებობის უფლება, რომელიც ტუალეტის ქაღალდის წარმოებას აანონსებს სახელწოდებით — ამერიკა, ევროპა, ობამა და ა.შ.**

დაბოლოს, ისევ ჩვენი გაზეთის მკითხველის — ვახტანგ ალანიას სიტყვებს მივუბრუნდები: რუსეთმა ქართველებს ღიმილი გვაჩუქაო. ამ სიტყვებმა ნოსტალგია განმიახლა. დიახ, დავდიოდით ქართულ ქალაქში, ერთმანეთი გვიყვარდა და ერთმანეთს ღიმილს ვჩუქნიდით. ეს ღიმილი ლიბერასტულმა დასავლეთმა წაგვართვა ჩვენივე ხელისუფლების ხელით.

ჩემო ძვირფასო ქართველებო! დავიბრუნოთ წართმეული ღიმილი.

**იზა თამაზაშვილი,**
**ტელ 593 90 55 07; 2 35 91 15**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგი ასლამაზოვის პარიზული არდადეგები



ძვირფასო მკითხველო, ნაცმოძრაობის მეგი გოცირიძეს ხომ იცნობთ? აი იმას, უკიდურესი **„სვეცკობის"** სურვილით, უკიდურეს გოიმობაში გადავარდნილი ქართული ტელევიზიები ხშირად რომ იწვევენ პირდაპირ ეთერში – აქაოდა, მეგი ისე ებდღვნება ოპონენტს და სტუდიაში ისეთ ქარბორბალას დაატრიალებს, გადაცემა სკანდალური და **„ყურებადი"** გამოვაო!

ისე, წარმოიდგინეთ, უნიჭობისა და უნიათობის რამხელა ზვინი დგას ქართულ ტელევიზიებში, რომ ისინი რეიტინგის **„გაკეთებას"** მეგი გოცირიძის არაადეკვატური, უზრდელური და ხშირად კონვულსიამდე მისული გამოხტომებით ცდილობენ!

თუმცა, ჩვენი დღევანდელი წერილის თემა ქართული ტელევიზიები არ არის.

ჩვენი მიზანია, წინამდებარე პუბლიკაციით ახლოს გაგაცნოთ ნაცმოძრაობის ქალი – ტორნადო, რომელიც ამ ცოდვა-ბრალიან წუთისოფელში ბოლომდე გაბანძებული სააკაშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი ფანი თუ ფინიაა.

ჯერ გეტყვით იმას, რაც ისედაც იცით და ნანახი გაქვთ – როგორც კი ნაცელისტრახოებმა სოციალურ ქსელში უბადრუკი ჭორი გაავრცელეს – ბიძინა ივანიშვილს ინსულტი მოუვიდა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლისო, მეგი გოცირიძემ ჯერ **„ფეისბუქში"** ინატრა, – ნეტავი, ბიძინა არ გადარჩესო, მერე კი ივანიშვილის მშობლიურ სოფელ ჭორვილაში ჩავიდა და მას ჭიშკართან **„ვენოკი"** დაუტოვა.

აი, ასეთია მეგი გოცირიძისა და ძაღლთაპირი ნაცმოძრაობის მორალური სახე!

აი, ასე ნატრობენ ისინი უფლის მიერ საკუთარ სახედ და ხატად გაჩენილი ადამიანის სიკვდილს!

კიდევ კარგი, სადღეისოდ მხოლოდ ნატვრაღა შეუძლიათ და არა ამ ნატვრის სისრულეში მოყვანა, თორემ, დრო იყო, მეგი გოცირიძის მშობლიური პარტია ვის სიკვდილსაც გულში გაივლებდა, იმას უმალვე დაუყენებდა საიქიოს გზას!

ამიტომაც იყო მოფენილი საქართველო უდანაშაულო ადამიანების ცხედრებით და მეგი გოცირიძის მშობლიურ პარტიას თავის მიერ დახოცილი ადამიანებისთვის მიწისზედა სასაფლაოც რომ აღარ ეყო, მერე წყალქვეშა სასაფლაოც გახსნა ბათუმის აკვატორიაში.

სწორედ იმ დროს შენატრის ახლა მეგი გოცირიძე, რადგან სწორედ იმ დროს იყო ბედნიერი და თავის მშობლიურ პარტიასთან ერთად პოლიტიკურ როკვას ასრულებდა სანდრო გირგვილიანის, ბუტა რობაქიძის, ზურა ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძის, გურამ შარაძის, როინ შავაძის, დათო ცინდელიანის, პაატა ქარდავას, გია კრიალაშვილის, სერგო თეთრაძისა და სხვათა გვამების გარშემო.

დიახ, ეს ყველაფერი თქვენ ძალიან კარგად იცით, მაგრამ ახლა გეტყვით იმას, რაც არ იცით და აქამდე არსად წაგიკითხავთ.

ერთმა სოლიდურმა ადამიანმა, რომელიც ბოლო ათწლეულის ქართული პოლიტიკის კულუარებს საკუთარი ხუთი თითივით იცნობს და, თავისი ყოფილი თანამდებობის წყალობით, ბევრ გაუხმაურებელ ინფორმაციასაც ფლობს, რამდენიმე დღის წინათ მეგი გოცირიძის წარსულის შესახებ საინტერესო რამეები მიამბო.

დავიწყოთ იმით, რომ მეგი გოცირიძე, რომელსაც პოლიტიკოსობის პრეტენზია აქვს, საზოგადოებას თავის ეთნიკურ წარმომავლობასა და ნამდვილ გვარს უმალავს. დიახ, როგორც ჩემმა ინფორმატორმა მაცნო, მეგი გოცირიძე ეროვნებით სომეხია და მისი ნამდვილი გვარია ასლამაზოვი.

ბუნებრივია, ამაში დასაძრახი და საჩოთირო არაფერია, მაგრამ საინტერესოა – ნაცი მეგის თავის წარმომავლობასა და ნამდვილ გვარს ასე საგულდაგულოდ რატომ უმალავს საზოგადოებას?! როგორც ჩანს, მეგი ასლამაზოვი ის **„უგნური თაგუნაა"**, რომელმაც **„თაგვობა"** იუკადრისა, თავის გვარ-ტომს ზურგი შეაქცია და **„ღამურობა"** მოინდომა!

მოგეხსენებათ, ეს მეგი ასლამაზოვი, რომელიც საზოგადოებაში თავს მეგი გოცირიძედ ასაღებს, ტელეეთერში გამოსვლისას ხშირად ამაყობს იმით, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ საქართველოში **„კრიმინალი დაამარცხა"**, ხოლო ივანიშვილის ხელისუფლებამ **„კრიმინალები ციხიდან გამოუშვა"**. მახსენდება ტელეკომპანია **„პირველის"** ეთერში გასული გადაცემაც, რომელშიც მეგი ასლამაზოვმა ცნობილ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძეს შეურაცხყოფა მიაყენა და სულ **„კრიმინალების მამაშა"** ეძახა.

არადა, მეგი ასლამაზოვს არანაირი მორალური უფლება არს აქვს, კრიმინალსა და კრიმინალებზე კრინტი დაძრას, რადგან, ჩემი ინფორმატორის მტკიცებით, ნაცი მეგის მამა ანზორ ასლამაზოვი **„კანონიერი ქურდი"** იყო, რომელსაც **„შავ სამყაროში" „დათოს"** სახელით იცნობდნენ, ბიძამისი გივი ასლამაზოვი კი ვორონცოველი ე.წ. **„კრიმინალური ავტორიტეტი"** გახლდათ, მეტსახელად **„ჩობანა"**.

ჰოდა, როგორც ჩანს, **„შავ სამყაროსთან"** ასე ახლოს ყოფნამ მეგი ასლამაზოვზე სათანადო გავლენა იქონია და ნაცმოძრაობის ეს ქალი-ტაიფუნი ერთხელ ძალიან სერიოზულ შარში გაეხვა – არც მეტი, არც ნაკლები, ქურდობის გამო.

კერძოდ, ჩემი ინფორმატორის მტკიცებით, მეგი გოცირიძემ 2004 წელს, როცა იგი ნაციონალური მოძრაობის ეგიდით საქართველოს პარლამენტის წევრი იყო, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში, ერთ-ერთ მაღაზიაში ტანსაცმელი მოიპარა და მაშინვე ფრანგი სამართალდამცავების წერა გახდა.

არ გეგონოთ, რომ ნაცი მეგი პარიზში შვებულების გასატარებლად იყო წასული და შოპინგის დროს მაღაზიიდან ტანსაცმელი **„ხელს გააყოლა"**! არა, პატივცემულო მკითხველო, ჩემი ინფორმატორის მტკიცებით, მეგი გოცირიძემ ტანსაცმელი მაშინ მოიპარა, როცა საფრანგეთში საქართველოს პარლამენტის ოფიციალური დელეგაციის წევრის სტატუსით იმყოფებოდა.

აბა, როგორი ამბავია – **„ვარდების რევოლუცია"** ახალი მომხდარია, სააკაშვილს, როგორც **„დემოკრატიის შუქურას"**, მთელ მსოფლიოს დასანახავად კუდი ყავარზე აქვს გადებული და ამ დროს მისი პარტიის წევრს, პარლამენტის დეპუტატს ევროპის შუაგულში ტანსაცმლის ქურდობისთვის იჭერენ.

ჩემი ინფორმატორის ცნობით, პარიზში მეგი გოცირიძის დაპატიმრებას დიდი ალიაქოთი მოჰყვა და საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრებმა აღარ იცოდნენ, რომელ წყალში გადავარდნილიყვნენ – მდინარე სენაში ეტუცათ თავი თუ მდინარე რონას ტალღებისთვის გაეტანებინათ შერცხვენილი სიცოცხლე. ბოლოს საქმეში საფრანგეთში საქართველოს საელჩო ჩაერია და ტანსაცმლის ქურდობისთვის დაპატიმრებული მეგი-ასლამაზოვი-გოცირიძე პარიზის პოლიციამ ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლა.

ეს ფაქტი ნაცების ხელისუფლებამ, ბუნებრივია, მიჩქმალა და მეგი გოცირიძის ქურდობის ამბავი იქამდე არსად გაფაჩუნებულა, თუმცა მოგეხსენებათ, **„არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს"**.

ასე და ამრიგად, ძვირფასო მკითხველო, წერილის დასაწყისში თქვენთვის მოცემული პირობა პირნათლად შევასრულე და უფრო ახლოს გაგაცანით უსახური ნაცმოძრაობის ერთ-ერთი სახე მეგი გოცირიძე, რომელმაც ჭორვილაში ბიძინა ივანიშვილის სახელთან მიტანილი **„ვენოკი"**, წესით, გულმკერდზე უნდა დაიდოს და საკუთარი ფეხით ჩავიდეს პოლიტიკურ სამარეში, სადაც მისი მშობლიური პარტია ქართველმა ხალხმა 2012 წელს დაფლა!

**ხ. ჯაბიძე**

**"ილორის" კომენტარი – მეექვსე წელი მიდის, რაც დაშნაკი სომეხი სააკიანცი თავიდან მოვიშორეთ ქართველებმა, მაგრამ მის მიერ ნაცმოძრაობაში შეთესლილი სხვა სომხებისაგან თავი ვერა და ვერ დაგვხსნია. არა და, სწორედ ისინი არიან ყველაზე აგრესიულები, უზრდელები, გაუნათლებლები, უკულტუროები. მეგი ასლამაზოვს ბევრად არ ჩამორჩება ეპატაჟურობაში ეროვნებით ასევე სომეხი მაია (ვითომ) ორჯონიკიძე, რომელიც დედის გვარსაა ამოფარებული და ქართველებს სიტყვის თქმის უფლებას არ გვაძლევს ხოლმე, ირინა სარიშვილად გვარდებული, სინამდვილეში კი პირუმოვა, ჭყონიად ცნობილი ავქოფოვი...**

**ძალიან გრძელი სია გამოვა!**

**გგონიათ ძაღლთაპირმა შევარდნაძემ არ იცოდა სააკიანცი სომეხი და თანაც კარგი მაგარი დარტყმული რომ იყო? იცოდა და ამიტომაც დაგვსაჯა ქართველები – მე თუ არ გინდივართ, შერეკილი სააკიანცი გყავდეთო!**

**როგორმე უნდა ამოვთხლიშოთ ჩვენი რეალობიდან ეს გვარგამოცვლილი უჯიშო არარაობები, რადგან ისინი მუდამ ეცდებიან დაძაბულობაში ამყოფონ ქართული პოლიტიკური სპექტრი!**

# რეზო გაბრიაძე — 81

გენიალური, მოულოდნელი, განუმეორებელი. გადაშალეთ მისი კალმიდან გამოსული ნებისმიერი წიგნი ნებისმიერ გვერდზე, ახლავე, სანამ ამ წერილის წაკითხვას განაგრძობთ, და დარწმუნდებით, რომ მართალს ვამბობ.

ხელთ არ გაქვთ არც ერთი?

მაშინ მენდეთ, მე გადავშლი წიგნს, მაინცდამაინც ახლა რომ მიდევს მაგიდაზე – **"კილეშერები" ("შერეკილები")**. გვერდი 35.

ერთაოზი მარგალიტა ამყოლაძეს მკერდზე დაკიდებულ მედალიონზე (**"რომელშიც ტრიფონიას ფოტო იყო ჩადებული"**) დაიფიცებს, რომ სიტყვას ვერ დააცდენინებენ ხუტა ოდიშარიას **"მკვლელობაზე"**.

**"– შემომფიცე!**

**– ვფიცავ! ამ მკვდრის წონა ოქრო რომ მომცენ, სიტყვას ვერ დამაცდენინებენ! – ტუჩებით ემთხვია მედალიონს! მედალიონი გაექცა ერთაოზს და სიღრმეებში დაემალა! ერთაოზმა მის ძებნაში გორები გადაიარ-გადმოიარა! ნახა და ისევ გამოეკიდა!**

**საათმა სამჯერ ჩამოჰკრა.**

**მარგალიტამ ძლივს აიგლიჯა ერთაოზი! მედალიონი დაკეტა და ზურგს უკან გადაიგდო, დამალა".**

ახლა უეჭველად დამიჯერებთ.

ამიტომ წერენ, რომ გენიალური იმპროვიზატორიაო.

**"გაბრიაძე ყოველთვის იყო ემიგრანტი. ჟურნალისტიკიდან წავიდა კინოში, კინოდან – ლიტერატურაში, იქიდან – თეატრში. მუდმივად და ყველა ადგილიდან გარბოდა ფერწერასა და ქანდაკებაში, მოსკოვიდან – თბილისში, თბილისიდან – ლენინგრადში... მას წარმართავდა არა მხოლოდ თავისუფლების იდეა, რომელიც გაფეტიშებული იყო სამოციანელების მიერ, არამედ უნიკალური, ლამის "რენესანსული", მრავალსახიერი ნიჭიერება".**

ამასაც წერენ და ესეც ჭეშმარიტებაა.

ნიჭი ეძებდა სივრცეს, რადგან ვერ ეტეოდა ვერც მეგაპოლისების მხარგაშლილობაში, ვერც რომელიმე ერთი ქვეყნის საზღვრებში; ფართოვდებოდა, იპყრობდა უსასრულობას ადამიანების ბუნებისას, რადგან აღმოცენებული იყო მსოფლიო რუკაზე ერთი შეუმჩნეველი წერტილიდან – ქუთაისიდან და ფრთებშესხმული – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული მადლით.

შემოქმედის მრავალსახიერების შესახებ გია ყანჩელს უთქვამს: **"ვიცოდი, რომ იგი მრავალმხრივი ნიჭიერებით იყო დაჯილდოვებული და ყოველთვის მეშინოდა, რომ თავად არ დაეწყო მუსიკის წერა, რადგან მაშინ მე ვეღარ მივიღებდი მონაწილეობას მისი უსასრულო ფანტაზიების რეალიზაციაში"**.

გაბრიაძის სტილში – თბილი იუმორით გაკეთილშობილებული სიტყვა მსოფლიოში აღიარებული მაესტროსი.

### კეთილშობილი შერეკილები

მწერალი ანდრეი ბიტოვი იხსენებდა, რომ პირველად რეზო გაბრიაძე იხილა **"ერთ იღლიაში ამოდებული „დონ კიხოტით", მეორეში – "ვან გოგის წერილებით", რომელთაც არასოდეს განშორებია, მან იცოდა მათი სიკარგე"... იმდროინდელმა კრიტიკოსებმა ზუსტად შენიშნეს, რომ დონ კიხოტი და ვან გოგი "გაბრიაძესთან "შერეკილობის" ნიშნით არიან გაერთიანებულნი, რომ თავადი ფანტიაშვილისა და ხეჩოს, როგორც ლიტერატურული პერსონაჟების, შედარება დონ კიხოტთან სავსებით შესაძლებელია" (ე. კალმანოვსკი). "თავადი (ფანტიაშვილი) ცხარობს, განრისხდება, ბობოქრობს, თავდავიწყებით შეუყვარდება და ამ ყველაფერში გამოსჭვივის რომანტიკული დონკიხოტობის სულისკვეთება, რომელიც გამორიცხავს ხელშესახები მონაპოვრის შესაძლებლობას". ხოლო "გაბრიაძე, რომელიც, იმდენად დონ კიხოტად კი არა, უფრო მის ერთგულ მეაბჯრედ წარმოგვიდგება, თავის ხელოვნებაში ამკვიდრებს რეალურად მიუღწეველ იდეალს".**

ამითაა იგი უნიკალური.

ფანტაზიის მიღმისეული, სადღაც ღრუბლებს ზემოდან მოსული, უფლის მადლცხებული ნიჭიერებით იბადება **"რეალისტური ფანტასმაგორიები"** (დიახ, ასეთი!) ბურთულიანი კალმისტრის (დღეს **"პასტას:** რომ ეძახიან) **"ოსტატზე"**, რომლის კუსტარული მელნის იისფერობა, როგორც ლაკმუსის ქაღალდი, გაამჟღავნებს მაშინდელი სისტემის ბიუროკრატულ ალოგიკურობას და ქუთაისის მწვანე-იისფერ ქუჩებში გადმოაბრძანებს შაგალის ტილოების მფრინავ პერსონაჟებს;

**"ბუდიონოვკაზე"** – მარშალ ბუდიონის კავალერისტების წვეტიან-ყურებიან ქუდზე – **"შეუსწავლელსა და შეუცნობელზე"**, რომლის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას ეწირება პატარა ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილის თავისუფლება;

ან ამბავი 70-იან წლებში **"აეროფლოტის"** ფლაგმანის, რეაქტიული **„ტუ-104"**-ის სალონში შემთხვევის ნებით მოხვედრილი ადამიანების ურთიერთობაზე, რომელიც მთავრდება ლევ ტოლსტოის წვერივით აბურდული ღრუბლების გავლით ვნუკოვოს აეროპორტში თბილისი-მოსკოვის ერთი ჩვეულებრივი რეისის დაშვებით.

აქაც, როგორც ყველგან და ყოველთვის, პირველწყაროს უბრუნდება – დედამიწას – გაბრიაძის შემოქმედება. მის ამ უპირველეს თავისებურებას განსაკუთრებით აღნიშნავდა შესანიშნავი თეატრალური კრიტიკოსი ევგენი კალმანოვსკი ჯერ კიდევ 35 წლის წინათ: (გაბრიაძის შემოქმედება) **"განსაცვიფრებელი სამყაროა, სადაც არაფერი არ არის დასრულებული, დადგენილი, ჩამოსხმული, გამყარებული. ყველაფერი მიედინება, ლივლივებს, გადადის და კვლავ პირველსაწყისს უბრუნდება"**.

მარინა დმიტრიევსკაიას, მრავალმხრივ საინტერესო წიგნის "რეზო გაბრიაძის თეატრის" (2005 წ. სანკტ-პეტერბურგი) ავტორს, ზუსტად შეუნიშნავს, რომ ძველის ახალში ეს გადასვლა-გადადინება, ახლისა – უახლესში და ასე – თანმიმდევრობით, ბუნების თვითგანახლების პროცესის ფარდია. რაც უკვდავებას ნიშნავს, დავუმატოთ ჩვენ.

შემოქმედების ძალით გახანგრძლივებულ სიცოცხლეს, ზოგჯერ მივიწყებისა და ჩაფერფლვისთვის განწირულის. თავდაპირველი ბრწყინვალების აღდგენასაც ნიშნავს.

### ზოგჯერ

და ამ დასკვნას ერთი დამახასიათებელი მაგალითით გაშიფრავს.

**"იმ დროს"** პეტერბურგის თეატრალურ მუზეუმში უპოვიათ იმპერატორის კარის გაცრეცილი გარდერობის ნარჩენები, რომლებსაც ის ყავლიც გასვლოდა, როცა ამ კოსტიუმებს იმპერიის პერიოდის ამსახველი სპექტაკლებისთვის იყენებდნენ. დმიტრიევსკაიას, ბატონ რეზოს თხოვნით, შეუგროვებია უტილიზაციისთვის განწირული ეს ნარჩენები და გაბრიაძეც სასწრაფოდ ჩაფრენილა ჩრდილოეთის დედაქალაქში (თბილისიდან ჩამოსვლა მაშინ იოლი იყოო) და თავად შეურჩევია ნაკუწები მარიონეტების სპექტაკლისთვის, რომელშიც მონაწილეობდნენ იმპერატორი არჩილი, პრინცესა ბლანშეფლერ-ეთერი და სხვა დიდებულები.

მათ, შესაბამისად, ისტორიული არტეფაქტების ნარჩენებით, რომლებიც **"...შემთხვევით ისტორიის ქარის ტალღაზე ვარსკვლავებით გეზმიცემულები შემოფრინდნენ "საიმპერატორო სპექტაკლში", შეკრეს წრე, გაბრწყინდნენ და სრულყოფილებაშემძენილები ახალი დროის ხელოვნების ნაწარმოებად იქცნენ. იმპერატორი-თოჯინების ტანსაცმელი იკერებოდა ნაკუწებისგან იმისა, რაიც ოდესღაც ნამდვილი იმპერია იყო"**.

და იყო დასაწყისი ახალი ტრიუმფის.

გადასვლა-გადადინების ეს **"მეთოდი"** რეზო გაბრიაძის ცხოვრების მახასიათებელიც არის, ამ კალაპოტს მიჰყვება, მგონი: ოთხმოცი წელი ბუნებრივად გადადის ოთხმოცდაათში, ოთხმოცდაათი – ასში და ა.შ. და ა.შ.

როგორ მოგწონთ ასეთი პერსპექტივა, ბატონო რეზო?

**P.S. დღეს რეზო გაბრიაძის დაბადების დღეა!**

**არმაზ სანებლიძე**

# ბორჯი ქართველთა ქუდზეკაცობისა, ანუ მწუხრისბჭობანი ბატონ თამაზ წივწივაძის საფიხვნოსათვის

## სერგი საჯაია

**არა შეშჭამო შენ სამშვინველი იგი ხორცსა მას თანა.**
**2 სჯული – 12,23;**

**აქ არვის – დიდსა თუ პატარასა, –**
**ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული...**
**წმინდა ილია მართალი;**

**ცხოვრება ავ ძაღლსა ჰგავს ხანდახან,**
**თუ შეკრთი და უკან დაიხიე, ბარკლებს გამოგჭამს...**
**დიდოსტატი კონსტანტინე**

ბატონო თამაზ, შევთანხმდეთ მოცემულობის რაობაში: ტექნოკრატიული დასავლეთის, ანუ აგრესიული გლობალიზმის მიერ ოკუპირებული საქართველოსთვის თავსმოხვეულ ყოველდღიურობაში საზოგადოების, უფრო სწორად, მიზნობრივად გამოინკუბატორებულ ვითომადამიანთა რაოდენობის სულისკვეთება, როგორც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, მომხმარებლური გახდა, ამიტომ, ამგვარი სიმრავლე არ ეძებს სულიერებას.

ასეთ ფასეულობათა არმაძიებლის არჩევანი კი ღვთის გმობა, მამულთან მიმდგომლობა და სიწმინდეებში სისხლაღრევა გახლავთ.

ამის მიხედვით წინამდებარე ავმოსურნეობა საალყო წესით გარშემოეწყო დედა ეკლესიას, ქართული აზროვნების წესს, ქართველად ყოფნის ყოველგვარ თვითდამკვიდრებას და ამნაირ სიცხადეში ცდილობს ქართველთა გონითი განფენის სივრცის გასხვაშინაარსებას.

საგანგებოდ მართულმა პარტახმა (ქაოსმა) გიორგიანულ-ქრისტესმხედრული ლაშქარი, რომელიც უფალსმიწვდენილი სულიერი ამწვერვალებებით (ღვთისმშობლის წილხვედრილობით) იშინაარსებდა თავს, გადააქცია იმ ხართად (რეზერვაციად), სადაც ქართველისგან საქარხნო წესით განიძევება მოაზროვნე, შემოქმედი, მწარმოებელი, ბინადარი და ამ უფლის დადგენილ შინაარსს ენაცვლება სხვისი შემყურე (იჟდევენეცი), ხელგაწვდენილი უტიფარი, სხვათა სიხარულით მონებივრე (უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ჭუჭრუტანიდან დანახული სხვათა სასარეცლო თავგართობით განიცდის ვნებას) და ა. შ.

ამ უვინაო სიმრავლეებზე დაყრდნობით, ანუ ქართული ნედლეულისგან იქმნება ვითომ უფლებადაცვითი ორგანიზაციები (ლეგალური აგენტურა-მეთქი), რომლებიც ისევე უპირისპირდებიან საქართველოს, როგორც ბოლშევიკების მიერ ქართულ მიწებზე შექმნილი ავტონომიური წარმონაქმნები.

თაობის იმ ნაწილის ხელში, რომელიც ტექნოკრატიული დასავლეთის მიერ გაკალმოსანდა, ქართული ენა, რომელსაც კაცობრიობის ნებისმიერი ნააზრევი შეუძლია მშობლიური აღაღადებით მწიგნობრულად გადმოსცეს (თუ იცი), ამასთან ერთად, აქვს სამინაირსახეობის მრავალათასწლოვანი სრულყოფილი ანბანი, დღეს ისეე ღაფავს სულს, როგორც საბჭოთა იმპერიაში მწერლობამიჩეჩებული ადრე უმწერლობო ხალხების მეტყველება.

საქართველო არ ცხოვრობს თავის ვინაობაში გამშინაარსებელი მოსახლეობის ნებით.

ტექნოკრატიულმა დასავლეთმა ქართველთა ეროვნულ სიბრძნეს გამსიგრძენაგებლობა გაუბურუსა, ნიშანსვეტები მოურღვია ერის გონითი განფენის სივრცეს. ამავე დროს, დალაშქვრის წესით, მიწასთან გაასწორა საკაცობრიო მნიშვნელობისა და ქართული ვინაობის მარადიულმყოფი მწერლობა, ხელოვნება საერთოდ, მეცნიერება (მოშალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მისი სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტები, საგანმანათლებლო სისტემა, კულტურა, ბინადარი ცხოვრების წესი, მეურნეობა და ა. შ.), რითაც ერს ჩაუქრო მანათობელი, მაფხიზლებელი და გამმარადისებელი შემოსხივებები.

ბატონო თამაზ, როგორც მოგეხსენებათ, დიდოსტატ კონსტანტინეს აზრით (დოქტორი ფატენპური, „დიონისოს ღიმილი") იმ ვითარებაში, როდესაც ქვეყანა ოკუპირებულია და **„...მარტო კრეისერებით არ გვებრძვის ინგლისი. იგი აგზავნის ჩვენს წინააღმდეგ თავის ურიცხვ წიგნებს, გაზეთებს, მისიონერებს** (შეადარეთ დღევანდელ ე. წ. არასამთავრობოებს და ვითომ უფლებადამცველებს. ს. საჯ.)**, მანქანებს, ქარხნის საქონელს"**.

შექსპირი იმპერიალიზმის ისეთივე იარაღია ინგლისის ხელში, როგორც „ინგლისური კრეისერი", ასეთ დროსო, ემოწაფებოდა რა წმინდა ილია მართალს იგი ჯერ კიდევ 1921 წლის 15 მაისს (თავის დაბადების დღეს), ბრძანებდა, რომ პოლიტიკურ ოკუპაციას კულტურული დაპყრობა რომ არ მოჰყვეს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული მწერლობა გახლავთო გადასარჩენი.

ამ დებულებას უფრო ადრე ინსტიტუციური სახე სწორედაც რომ თერგდალეულებმა მისცეს, როდესაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეიქმნა.

1917 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნა იმგვარივე მოვლენა გახლდათ, როგორიც თერგდალეულთა ლასკარული მოძრაობა, რომელმაც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გასწვრივ თავისი საძალისხმევო სივრცე გაიპიროვნა საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველსაყოფად, რაც ქართველი ერის მარადიულყოფას უნდა მომსახურებოდა.

არც ის არის შემთხვევითი, რომ მისი პირველი თავმჯდომარე 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულად დაცემული გოგონას – მაროს მამა კოტე მაყაშვილი იყო.

საქართველოს მწერალთა კავშირი, რომლის ინსტიტუციური საქმიანობა ბოლშევიკური რუსეთის მიერ ანექსირებული საბჭოთა საქართველოს საოკუპაციო აბრის ქვეშ გაგრძელდა, ბუნებრივია, ვერ გადაურჩა კომუნისტური იდეოლოგიის წნეხს, მაგრამ მან, მასზე დამქუსლავი გადათარეშების მიუხედავად, ძირითადად მაინც შეძლო ქართული ცნობიერების უნუგეშო მდგომარეობამდე დანაგვიანების არდაშვება.

ამასთან ერთად, ერის სულიერებაში მოახერხა სანიშანსვეტო გამონათებათა ჯერმონაცვლეობაც, შეიქმნა მსოფლიო მნიშვნელობის მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურა (გ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, ლ. ქიაჩელი, გ. ლეონიძე, ნ. ლორთქიფანიძე და ა. შ.).

შედარებისთვის: მიუხედავად იმისა, რომ იუნესკომ 2016 წელი შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა და მსოფლიომ აღნიშნა ეს თარიღი, „დამოუკიდებელი" საქართველოს „დემოკრატიულმა" ხელისუფლებამ ამ მიზნით საიუბილეო კომისიაც კი არ შექმნა (წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის 200 წელი სრულდება, არც ეს აღინიშნება ხელისუფლების მიერ).

საქართველოს მწერლობამ თვით რეპრესიული საბჭოთა ხელისუფლება აიძულა, ორჯერ, 1937 და 1966 წლებში მსოფლიოს მასშტაბით საყოველთაო სახალხო დღესასწაულად გადაექცია გენიალური პოეტის 750-ე და მე-800 წლისთავები – ეს იყო უზარმაზარი მიღწევა იმ დროს, როდესაც დივერსიული ეთნოფაბრიკაცია საბჭოთა საქართველოში წამყვანი ინდუსტრიული დარგი გახლდათ.

საქართველოს მწერალთა კავშირი, როგორც ეროვნულ-სახალხო ინსტიტუცია და ქართული სააზროვნო წესის მარადიულყოფაში განმაპირობებელი, განსაკუთრებული სისასტიკით იქნა გადათარეშებული და დარბეული 2007 წლის ივლისში, როდესაც იგი თავისი საკუთარი სააკვნოდან – მწერალთა სასახლიდან გამოძევდა, გარეთ გამოიყარა ეროვნული განძი და სულიერი ღირებულება. მათ შორის ისტორიული მნიშვნელობის არქივი.

რაც შეეხება 2014 წლის 21 ივნისის ე. წ. მწერალთა ყრილობასა და მის ასევე ე.წ. საორგანიზაციო დასკვნებს, სამწუხაროდ, მან 2007 წელს ნამესტნიკური ხელისუფლების მიერ ქართული მწერლობისთვის მიხლილ ვაზნას, ნებით თუ უნებლიეთ, საკონტროლოდ დახლილი ტყვიის საქმე შეუსრულა: თუ მათი ძალისხმევის უმთავრესი მიზანი სათანამდებობო სავარძლების გაპიროვნებაა, აქ მისალოცად ნამდვილად აქვთ საქმე, რადგან საზოგადოებრივ ცრუმოძრაობებში უზუსტესი დახელოვნებით დღემდე შეძლეს მობაცაცებული მდგომარეობის შენარჩუნება, მაგრამ შედეგია ცუდი და გიორგიანელობისთვის (ქრისტესმხედრობისთვის) არაშესაბამისი.

აქედან გამომდინარე, 2017 წლის 20 ივნისს ქ. თბილისში შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში (ადრე ასე ერქვა) მათ მიერ აღინიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის მე-100 წლისთავი, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, თავისი წინააღმდეგობრივი შინაარსის მიუხედავად, შედეგის თვალსაზრისით მაინც საზეიმოსკენ უნდა იხრებოდეს, ვერ გახდა მისი დღევანდელი მესვეურების ხელში იმ ინსტიტუციად, რომელიც სრულიად საქართველოს მწერლობას კი არ გააერთიანებდა, არამედ, ასეთ ეროვნულ-სახალხო ქუდზე კაცობად – „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა" (წმინდა ილია მართალი) დარაზმავდა.

არა მარტო ეს კი არ მოხდა, მივიღეთ უფრო უარესი: ვისაც სტრიქონსა და სტრიქონს შუა იმის წაკითხვა ან მოსმენა შეუძლია, რაც არ წერია ან არ თქმულა, დამეთანხმება, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ იმავე 2017 წლის 20 ივნისის „მოამბის" დასასრულს გასაჯარისებული სიუჟეტი საქართველოს მწერალთა კავშირის მე-100 წლისთავთან დაკავშირებით სულაც არ იყო კეთილმოსურნე განცხადება.

ჯერ ერთი, „მოამბეს" ამ საღამოს მესვეურებისათვის, რომლებიც დღეს საქართველოს მწერალთა კავშირის თავკაცობას იბრალებენ, სიტყვა არ მიუცია.

მეორეც, საქართველოს მწერალთა კავშირის არსებობის მიზანშეწონილობა შეაფასებინეს საზოგადოებაში „უბორნიის მწერლობად" მიჩნეული ერთობის ლიბერასტ კალმოსნებს, რომელთაც ეკრანიდან უსაშველოდ მრუდე სარკეში წარმოაჩინეს ეს დაწესებულება. არადა, სიცხადე სხვა რამესაც ამზეურებს – სწორედ მის ჭერქვეშ შეიქმნა საკაცობრიო მნიშვნელობის მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა.

ვიმეორებ, ეს ასე იქნება მანამ, სანამ საქართველოს მწერალთა კავშირი ფაქტობრივი მდგომარეობით ეგრეთ წოდებულია და აქ „პოეზიის დედოფლისა" და „პროზის რაინდის" ტიტულების დარიგებით ისაქმებენ თავს.

ბატონო თამაზ, თუ რამდენად ვუგდებთ ყურს უფლის კარნახსა და გვესმის ხალხის ხმა, იმდენად ვარსებობთ, როგორც ქართველი ერი.

ამ დებულების გასწვრივ უნდა შევიმუშაოთ მკაფიო და უყოყმანო პასუხი იმაზე თუ რას მივიჩნევთ მწერლის უმთავრეს მოვალეობად: ეს არის „პოეზიის დედოფლად!" ან „პროზის რაინდად" თვითმარქვიული ატახტება თუ კიდევ უარესი: საკუთარი დედის იმ ადგილებში თვალის ფათური („ვაშინერს") ან ანტიტყაოსნობაში ხელცდუნება, რომლითაც ეს კალმოსნები თავს ისაქმებენ და რომელთაც (ვთქვი უკვე) საზოგადოება „უბორნიის მწერლობად" იცნობს და ლიბერასტულ კასტად მიიჩნევს.

თუ ასე გვგონია, მაშინ, კი, ბატონო, მოსათმენია ეს მდგომარეობა და დარჩეს, როგორც არის. ზემოთ უკვე გითხარით, მაგრამ მოდით, კარგად განვმარტოთ, თუ რისი პაროლი გახლავთ ის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამა „მოამბეში" მაინცდამაინც „უბორნიელ" კალმოსნებს და ფეხსალაგში საკუთარ სისხლ-ხორცთან ახურუშებულებს (ბოდიში) ჰკითხეს აზრი საქართველოს მწერალთა კავშირის მიზანშეწონილობაზე (არადა, „პოეზიის დედოფალიც" და „პროზის რაინდიც" ხარაჯას მოგართმევდა, ოღონდ რაიმე გეკითხა).

როგორც გახსოვთ, გამოკითხულმა კალმოსნებმა, სისხლაღრევიდან რომ ცდილობენ ორგანიზმში ჩაყვინთვას, გაგვანათლეს, რომ საქართველოს მწერალთა კავშირი საბჭოთა გადმონაშთია, ანუ რეპრესიული საქმიანობის თანამონაწილეა და საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდის ტრიბუნა გახლდათ.

თავი დავანებოთ იმას, რომ ცალმხრივი და არასწორი შეფასებაა ეს, აქ მთავარი სხვა რამ გახლავთ: ამით საზოგადოებას ის უთხრეს, საქართველოს მწერალთა კავშირი, როგორც დანაშაულებრივი დაწესებულება, დროზეაო გასარეკი. უკიდურეს შემთხვევაში იყოს, მაგრამ კიდევ უფრო გააშარჟეთო (ე. ი. მეტი მწერალი „გაარაინდეთ" და „გაადედოფლეთო"), რათა მან მუხლი არ მოიმაგროს ისეთ სამამულო ფეხაწყობად, რომლის მსოფლმხედველობრივი სვლაგეზი ასე დაზუსტდება:

***მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..***
***მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.***
**(წმინდა ილია მართალი)**

ამ ვითარებაში, ყველაფრის გათვალისწინებით, აწონ-დაწონით, იმის გასიგრძეგანებითაც, რაზეც ხმამაღლა აქ არ ვილაპარაკებ, თქვენ უდავოდ შეგეძლოთ საქართველოს მწერალთა საგანმანათლებლო, ეროვნულ-სახალხო, სამოქალაქო, ერის მარადიულ მყოფი და სახელმწიფოს მაქვითკირებელი ძალისხმევა დაგეზუსტებინათ საამისოდ საჭირო ორგანიზაციული დასკვნები.

ცხადია, ამის არარსებობა თვალში საცემია სწორედ დღეს, საქართველოს მწერალთა კავშირის მე-100 წლისთავზე, როდესაც ქართველობა და ქართველთა გონითი განფენის სივრცე, ასე უნუგეშოდ დაუცველი, შეტოვებულია სხვადასხვა სახუნდარში ჩასანგრებულ ვერაგ და ნაცად გარეგან ავმოსურნეებსა თუ მათ ადგილობრივ მეგზურებს.

ბატონო თამაზ, გულახდილად გეტყვით – მე არათუ არ ვიზიარებ, თავის დროზე ზნეობით დაშვებული ყველა საშუალებით ვებრძოდი (დიახ, ვებრძოდი) იმ პოლიტიკურ გასაგნებას, რომელსაც თქვენ დღემდე დიდ მოღვაწედ მიიჩნევთ.

საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომლის რწმუნებითაც გესაუბრებით, იგი საბედისწერო შემობიჯებაა ჩვენი ერის ცხოვრებაში, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსა (აფხაზეთსა) და სამეგრელოსთვის თავსდამტყდარ უბედურებად იქცა.

ის, რომ იგი ტექნოკრატიული დასავლეთის ერთ-ერთი მეგზური და მათივე ნამესტნიკი აღმოჩნდა, ამაზე შემიძლია ყველა დონეზე შემაძრწუნებელი ფაქტები ვასაჯარისო, მაგრამ ამ წუთში გვცალია ამისთვის ან რაში გვჭირდება ეს?!.

თუმცა, არის მის მემკვიდრეობაში დიადი კოლხეთისადმი (მაშასადამე, ქუთაისადმიც) ისეთი კარგად შენიღბული, მაგრამ დივერსიული გამოთქმები, რომლებიც დღემდე ქმედითი იარაღი გახლავთ ავმოსურნეთა ხელში, რაც მთავარია, არ ვისურვებდი არათუ მათი გავლენის ქვეშ აღმოჩენას, მათდამი შემწყნარებლობასაც კი. ამაზე აქ დავსვათ წერტილი და რაზე საუბარს ვარიდებ თავს, ეს ჩვენ ჩვენთვის გავარკვიოთ მარტო. სხვა რამე გვაქვს მოსაგვარებელი: როდესაც მე მხარი დავუჭირე თქვენს კანდიდატურას საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე, რა თქმა უნდა, ზემოთ თქმული ძალიან კარგად ვიცოდი, მაგრამ ასევე მქონდა არცთუ მწირი წარმოდგენა თქვენს გეგმებზე საქართველოს მწერალთა კავშირის ასაღორძინებლად და მათ განსახორციელებელ დადასტურებებს (პირველ რიგში, მწერალთა სასახლისა თუ სხვა ჩამორთმეული უამრავი უძრავ-მოძრავი ქონების კუთვნილებისამებრ დაბრუნება), მწერლების შემოქმედებითი წახალისება თუ მატერიალური წახალისება და ა. შ.).

აქედან გამომდინარე, ისევე, როგორც 2014 წლის 21 ივნისს, დღესაც მიმაჩნია, რომ ქართულ მწერლობაში ამჟამად თუ ვინმეს შეუძლია საქართველოს მწერალთა კავშირის აღორძინება, ქართველი ერის სულიერი ცხოვრების სამსახურში ჩაყენება. ასეთთა შორის ერთ-ერთი თქვენ ბრძანდებით. ჩემთვის აი, ესაა მნიშვნელოვანი, ხოლო სხვა გაუგებრობები და ურთიერთუთანხმოებანი სამუშაო წესით ერთმანეთში მოვაგვაროთ კაცურად (ისე, მოსაგვარებელი ზოგიერთი რამ არის).

წუთშესვენება: ჩემს ასეთ თავდაჯერებას ორი მიზეზი აქვს: 1. კიდევ ვიმეორებ, არცთუ ზედაპირულად ვიცნობ თქვენს ხედვას საქართველოს მწერალთა კავშირის ეროვნულ-სახალხო შინაარსში ასაღორძინებლად; 2. ეს მიზეზი ჩემს სიყმაწვილესთანაა დაკავშირებული. მაშინ თქვენმა სახლიკაცმა, სხვებთან ერთად, ლომის წილი გაიღო ჩემი საყვარელი გუნდის – ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა უმაღლეს ლიგაში (მაშინ „ა" კლასი ერქვა) შესაყვანად.

ნეტავ იმ დროს, სოხუმიდან ხან „მოსკოვ-წყალტუბოს" მატარებლით, ხან „ელექტრიჩკით" ჩამოვიპარებოდით ქუთაისელთა საგულშემატკივროდ. უბილეთო ბიჭებს იშვიათად აგვიშარდებოდნენ ხოლმე რევიზორები. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ახლაც მზად ვარ, ასეთი მიზნისთვის გავისარჯო, აუტკივარი თავი ავიტკივო და შემოუხვებულ ასაკსაც ვძლიო.

ამის გასწვრივ თქვენი გუნდის ერთ-ორ წევრს დასამშვიდებლად ვპირდები, რომ ამ თანამოსანგრეობისათვის ფეხის ქირას არ ვითხოვ. უდიდესი გასამრჯელო ჩემთვის ქართული მწერლობის ორგანიზაციული ფეხაწყობა და ინსტიტუციური დაწესრიგებაა.

***(გაგრძელება მე-10 გვერდზე)***

# ბორჯი ქართველთა ქუდზეკაცობისა, ანუ მწუხრისბჭობანი ბატონ თამაზ წივწივაძის საფიხვნოსათვის

*(გაგრძელება მე-9გვერდიდან)*

ყოველგვარი ბოლმის გარეშე მშვიდად და წინგახედულად შემიძლია აგრესიული გლობალიზმის საცეცებს ერთ რიგით ხერგილად აღვემართო. ეს ისე, რომ იცოდეთ თუ როგორი წესით ვცხოვრობ.

ახლა რაც შეეხება თავსათქმელს: 2017 წლის 20 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირის მე-100 წლისთავთან დაკავშირებით მასმედიად წოდებული საეთნოდივერსიო სამსახურების გამოხმაურებამ და ამ მოვლენის შესაფასებლად ცალმხრივად მხოლოდ ლიბერასტების მოწვევამ აჩვენა, რომ საოკუპაციო რეჟიმსა და მის ნამესტნიკურ ხელისუფლებას, რაც მთავარია, აშშ-ის ელჩად წოდებულ და ფაქტობრივი მდგომარეობით გენერალ-გუბერნატორს (აქ მნიშვნელობა არა აქვს პიროვნებას) არავითარ შემთხვევაში არ სჭირდებათ წმინდა ილია მართლისა და წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სულიერი ფასეულობებით მოხელმძღვანელე ქართული სიტყვიერება. ისინი ყველა ღონეს იხმარენ, რათა იგი დასამარდეს ან გაპამპულდეს და უნუგეშოდ გაშარჟდეს („გარაინდდეს“, „გადედოფლდეს“ და მისთანანი). ამის შემდეგ მას ერთპიროვნულად ჩაენაცვლება და „ქართულ მწერლობას“ გაოთხივკუთხდება-მეთქი „უბორნიის მწერლობად“ ცნობილი და ლიბერასტულად ახურუშებული, სისხლაღრევაში მოდღესასწაულე ხმაბოდვითი მეწიგნეობა.

ასეთი გახლავთ მოცემულობა.

ბატონო ჩემო, წინამდებარე მოცემულობის გასწვრივ სახელოვან ქართველ მწერლებს და თქვენ პირადად თუ გაქვთ იმის უფლება, ქანდარიდან უყუროთ იმას თუ როგორ წიოკდება ქართული მწერლობა, მაშინ საშველი არ ყოფილა მართლა!..

ამ შემთხვევაში მოგმართავთ რა თქვენ, მწერალ თამაზ წივწივაძეს, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს, უფლებას ვიტოვებ, ქვემორე კითხვებზე მკაფიო პასუხი გთხოვოთ:

1. მიიჩნევთ თუ არა ლიბერასტი მეწიგნეებისა და ხალხში „უბორნიის მწერლებად“ ცნობილი მწერლების მიერ 2017 წლის 20 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირის მე-100 წლისთავთან დაკავშირებით გასაჯარისებულ შეფასებებს საოკუპაციო რეჟიმის ფაქტობრივი მდგომარეობით საქართველოში აშშ-ის გენერალ-გუბერნატორისა და ნამესტნიკური ადმინისტრაციის გახმოვანებად?

2. ის, რომ საქართველოს მწერალთა კავშირი ასეთი კოალიციური ერთსულოვნებით საბჭოთა გადმონაშთად, ანუ რეაქციულ და რეპრესიულ ინსტიტუტად გამოცხადდა, ნიშნავს თუ არა იმას, რომ ასეთივე კოალიციური ძალისხმევით მომავალში გატარდება ღონისძიებები მის ჩასათრევად მართვად ქაოსში, იმავდროულად ხელი შეეწყობა ქართული მწერლობის გაშარჟებასა თუ სახელგატეხვას?

3. ასეთ დროს აქვს თუ არა ქართველ მწერალს უფლება, დასჯერდეს მეთვალყურის მდგომარეობას?

4. მიგაჩნიათ თუ არა შესაძლებლად (პირველ რიგში — საჭიროდ) იმ ბანაკში მყოფ „არარაინდ“ და „არადედოფალ“, მაგრამ მამულზე, ერის სულიერებაზე მოჭირისუფლე შემოქმედ ადამიანებთან მოპალარაკებას, რათა დაზუსტდეს ერთიანი ძალისხმევა საქართველოს მწერალთა კავშირის თავის ღირსებაში, უფლებასა და კუთვნილ მდგომარეობაში ასაღორძინებლად?

5. დადგა თუ არა დრო და არის თუ არა საჭირო, უახლოეს ხანებში მოწვეულ იქნას ქართველი მწერლების (შემოქმედებითი საზოგადოების) ერთიანი ეროვნულ-სახალხო თავყრილობა?

... და ბოლოს, ტექნოკრატიული დასავლეთის (აგრესიული გლობალიზმის) მიერ წვრთნაშეუსმენელი თაობისთვის თავსმოხვეული ეიფორიული და ილუზორული ხედვა, კი ბატონო, შეიძლება კარგია რაღაც წამგაელვებაში, რაღაც რეგლამენტში, მაგრამ არ შეიძლება, ის ჩვენი წინდაუხედაობით ცხოვრების წესად გვექცეს.

სადღაც ვიღაცამ თუ დაგვიგაკვეთილა პრინციპი — „წარღვნის იმიტომ კი არ მეშინია, რომ ნეხვი წყალში არ იძირება“, ეს პატივის აყრის მცდელობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ჩვენ ის ერი ვართ, ბინადარი ცხოვრების წესი რომ ვაჩუქეთ კაცობრიობას, ამდენად, გიორგიანელობისა და ქრისტესმხედრობის მოვალეობა გაგვეპიროვნა და არა ნეხვად ყოფნის.

ზნეობრივი კანონი ქართველში, ანუ შინერს-ვაშინერსის წესრიგი ჩვენში წარმოშობს შიშს უზენაესისადმი. ეს არ არის გალახვის, განადგურების, წაგების შიში, ეს არის ის შიში, რომელიც, დიდი შოთა რუსთაველისა არ იყოს, სიყვარულსა და ღვთივსათნოებას წარმოშობს.

აი, ეს შიში არა აქვს საოკუპაციო რეჟიმს და მის მიერ გამოინკუბატორებულ ახალ ნაციას (თაობას), ამიტომ არის უღმერთო.

... თუმცა, ამაოდ ჰგონიათ, რომ ღმერთი არ ხედავს. უფალი ყოველთვის ადევნებს თვალყურს იმას, თუ რა ხდება დედამიწაზე და როცა აქაური ცოდვა ცას აუწვდება, საჭირო ზომებს იღებს.

ბატონო თამაზ, ყოველივე აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ისე, როგორც 2014 წლის 21 ივნისს, დღესაც მიმაჩნია, რომ ქართულ მწერლობაში ამჟამად თუ ვინმეს შეუძლია საქართველოს მწერალთა კავშირის აღორძინება, ქართული ერის სულიერი ცხოვრების სამსახურში ჩაყენება — ერთადერთი თქვენ ბრძანდებით!..

ღრმა პატივისცემით

**სერგი საჯაია,**

***საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრი; ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი; უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე; ნიკო ნიკოლაძის, გიორგი შარვაშიძისა და ზვიად გამსახურდიას პრემიების ლაურეატი***

---

# „დურაკ ტი, ნიკიტა!“



**საქართველოდან წასვლა და გზა „მეფის რუსეთის საქართველოში“**

„ვასილ მჟავანაძე 1902 წლის 22 სექტემბერს ქუთაისში დაიბადა. მართალია, პავლე მჟავანაძის პირმშო კაჟივით ჯანმრთელი მოევლინა ქვეყანას, მაგრამ, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მისი მეუღლე მშობიარობიდან მეორე დღეს გარდაიცვალა. მამას ბავშვობის ფოტოს რომ დავცქერი, მის თვალებში საოცარ სევდას ვხედავ — დედის ალერსს მოკლებული ობლის სევდას. იქნებ, ამიტომაც იყო მამა საოცრად გულჩვილი მიუსაფართა მიმართ. თუ ვინმეზე გაიგებდა, ობოლიაო, თვალზე ცრემლი მოადგებოდა — როგორც ჩანს, თავისი ობლობა ახსენდებოდა და ცდილობდა, შეძლებისდაგვარად დახმარებოდა მათ. მშობლების დაჟინებული თხოვნით, მეუღლის გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე, პავლე მჟავანაძემ მეორე ცოლი შეირთო და ვაჟი — სერგო შეეძინა, მაგრამ, ვერაგი ბედისწერა ფეხდაფეხ დაყვებოდა უბედურ ბაბუას — მეორე მეუღლეც რამდენიმე თვეში გარდაეცვალა. პატარა სერგო მჟავანაძე დედის ძმამ, ლუკა რუხაძემ წაიყვანა აღსაზრდელად. მალე პავლეს მშობლებიც დაეხოცა და, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა, სამშობლოდან გადახვეწა გადაწყვიტა. ჩემი აზრით, მისი წასვლის მიზეზი სწორედ ეს არის, მაგრამ, ერთ-ერთი ვერსიით, იგი რევოლუციონერებს დაახლოებია და ჩაფრის მკვლელობაში მიუღია მონაწილეობა. დღეს ძნელი სათქმელია, რამ აიძულა პავლე, 3 წლის ვასოც თან წაეყვანა — იქნებ, საფრთხე მარტო მას კი არა, მის პატარა ვაჟსაც ემუქრებოდა?! ასე იყო თუ ისე, პავლე მჟავანაძე თავის პირმშოსთან ერთად ოდესაში ჩავიდა. იმ დროს ოდესაში, რიშელიეს ქუჩაზე, ელექტროტრამვაი გაჰყავდათ. პავლეს ჯერ ტრამვაის პარკში დაუწყია მუშაობა შემკეთებლად, შემდეგ კი — ელექტროტრამვაის გამცილებლად. ვაჟიშვილი კი ოდესელი მეეტლის, ეფიმ ზინკოვის ოჯახში დაუბინავებია. ოჯახში, სადაც მამა მიაბარეს, კიდევ ორი ბავშვი იზრდებოდა. პირველი სამი წლის განმავლობაში პავლე ხშირად აკითხავდა თავის ვაჟიშვილს, მერე კი გაქრა. ვასო მჟავანაძე ეფიმ ზინკოვის ოჯახმა გაზარდა. ქართული, რა თქმა უნდა, დაავიწყდა და ეს არც არის გასაკვირი. ახლად ენაადგმული 3 წლის ბავშვი უცხო ქვეყანაში, უცხო ოჯახში, უდედმამოდ იზრდებოდა. ზინკოვებს პატარა ვასო არ დაუჩაგრავთ, პირიქით, თავის შვილებთან ერთად ისიც მიუბარებიათ გიმნაზიაში. როგორ შეძლო ოდესელმა მეეტლემ სამი ბავშვის გიმნაზიაში სწავლების დაფინანსება? განა რამდენს შოულობდა ეს კეთილშობილი ადამიანი, რომ ორი შვილისა და ერთი მიბარებული ბავშვის სასწავლებლად ჰყოფნოდა? არ მინდა, ეჭვი შევიტანო ოდესელი მეეტლის პიროვნულ ღირსებასა და პატიოსნებაში, მაგრამ, მისი მეცენატობა უთუოდ გაოცებას იწვევს. ერთ დღესაც, ზინკოვების ოჯახში ვინმე ლოლაძე მივიდა და აცნობა, რომ პავლე მჟავანაძე ჟანდარმებმა მოკლეს. მას მეგობრებმა უკანასკნელი თხოვნა შეუსრულეს და 13 წლის ვასო საქართველოში წამოიყვანეს. ასეთი იყო მამის ყრმობის წლები უცხოეთში. პავლე მჟავანაძის მეგობარმა, ლოლაძემ, 13 წლის ვასო გვიშტიბში ჩაიყვანა და ბებია-ბაბუას, — პავლე შვანგირაძესა და ქრისტინე ბარაბაძეს ჩააბარა, მაგრამ ისინი მალე გარდაიცვალნენ. პატარა ვასო ბიძამ წაიყვანა თავის ოჯახში. პოლიკარპე შვანგირაძე ვასოს საკუთარ შვილებში არ არჩევდა და მამობრივ მზრუნველობას არ აკლებდა... გაივლის ცხრამეტი წელი და იგი უკვე სრულიად სხვა ვითარებაში და სხვა რანგში დაუბრუნდება სამშობლოს. „ხშირად დამისვამს საკუთარი თავისთვის კითხვები: მაინც, როგორ გახდა დედით და მამით ობოლი ბიჭი საქართველოს ცეკას პირველი მდივანი? ეს ისტორიულმა კატაკლიზმებმა განაპირობა, პიროვნულმა თვისებებმა თუ ბედმა?! ვფიქრობ, სამივე ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა“, — ამბობს ვასილ მჟავანაძე.

საკუთარი შრომით ცხოვრება მამას ადრიანად მოუწია, რადგან პოლიკარპე შვანგირაძეს არც დიდი მამულები ჰქონდა და წვრილშვილიც თავს ეხვია. ტყავის წარმოების მანუფაქტურა, სადაც მამა მუშად მუშაობდა მამას დეიდის — ელისაბედ შვანგირაძის ქმარს ეკუთვნოდა. 1922 წელს მამა დროის კარნახით, პარტიაში შედის და ცხოვრების ასპარეზს იცვლის — საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ სამხედრო კარიერას ირჩევს. მსროლელი პოლკის დივიზია — 200 წითელარმიელი, რომელსაც მამა მეთაურობდა, მანგლისში იდგა. აქ გაიცნო მან ანა გრიგოლის ასული იანკო და მალე დაქორწინდა. 1930 წელს ვასილ მჟავანაძე ლენინაკანის მეთაურთა მოსამზადებელ პოლკის სასწავლებელში პოლიტხელმძღვანელად გაგზავნეს. მალე მას პირველი ქალიშვილი — ლილი შეეძინა. სამი წლის შემდეგ მამა საქართველოში მეორე ტერიტორიული დივიზიის პოლიტგანყოფილების ინსპექტორად დანიშნეს. ამ დროისთვის მათ მეორე ქალიშვილი — ეველინა გაუჩნდათ. სამხედრო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ვასილ მჟავანაძე ლენინგრადში, სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში მიავლინეს სასწავლებლად. მისი პირველი ოჯახი საქართველოში დარჩა. რატომ უთხრა უარი რუსეთში წასვლაზე მეუღლემ — მამა ამ თემაზე არ ლაპარაკობდა. ოცი წლის განმავლობაში, 1933 წლის შემოდგომიდან 1953 წლის შემოდგომამდე, მამამ მხოლოდ ორჯერ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა, ისიც, რამდენიმე დღით.

**ობოლი ოფიცრისა და ობოლი ქალიშვილის სიყვარულის ამბავი**

დედამ და მამამ ომის დაწყების წინ გაიცნეს ერთმანეთი. ქართველი ოფიცერი და უკრაინელი სტუდენტი გოგონა ერთმანეთს ლენინგრადში შეხვდნენ. დედა სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსზე სწავლობდა. მაშინ სავალდებულო სამხედრო მომზადებაში ჩათვლის მისაღებად აუცილებელი იყო ცხენოსნობის ცოდნა. ამ დროს საბჭოთა კავშირში ცხენოსანთა არმია ფუნქციონირებდა და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები სამხედრო ბაზაზე გაგზავნეს. დგას თურმე განმარტოებით 19 წლის გოგონა, ეშინია. ჩამოიქროლა ცხენზე ამხედრებულმა ოფიცერმა, დასტაცა ხელი და ცხენზე შეისვა. დედა იხსენებდა: ბუმბულივით ამიტაცაო. ეს მხედარი მამა გახლდათ. დედაც მამასავით დაბადებიდანვე დაობლდა.

**„დურაკ ტი, ნიკიტა!“**

ხრუშჩოვი მამას უკრაინიდან იცნობდა. იცნობდა, როგორც გენერალს, უკრაინის უზენაესი საბჭოს დეპუტატს, პატივს სცემდა და ენდობოდა. გარდა ამისა, იცოდა რა მამის ბიოგრაფია, უფრო რუს გენერლად მიაჩნდა და, ამდენად, საქართველოს ცეკას პირველი მდივნის პოსტზე ვასილ მჟავანაძის კანდიდატურის წარდგენა მიზანშეწონილად ჩათვალა. ხრუშჩოვს საქარველოში სჭირდებოდა კაცი, რომელიც უპირველესად მოსკოვის ინტერესებს გაატარებდა. მამა იხსენებდა: „შევედი კაბინეტში და ხრუშჩოვი მეუბნება: „საქართველოს ცეკას პირველ მდივნად გიშვებთ!“ რა თქმა უნდა, დავთანხმდი, რადგან ეს ბრძანება იყო. როდესაც მისი კაბინეტიდან გამოვედი, მისაღებში ალექსი ინაური შევნიშნე. ვკითხე, — აქ რას აკეთებ-მეთქი.

— არ ვიცი, — მიპასუხა მან.

მეორე დღეს მოსკოვი-თბილისის რეისზე თვითმფრინავში გვერდიგვერდ აღმოვჩნდით. ისევ ვეკითხები ინაურს: ხრუშჩოვთან რაზე იყავი-მეთქი. ვერ გეტყვით, — ისევ მპასუხობს ინაური და თვითონაც იმავეს მეკითხება: — თქვენ რატომღა იყავით? ვერც მე გეტყვით-მეთქი. ასე ჩამოვფრინდით თბილისში. საქართველოს ცეკას ბიურომ ჩვენი კანდიდატურები განიხილა და მეორე დღეს მე საქართველოს ცეკას პირველი მდივნის კაბინეტი დავიკავე, ალექსი ინაურმა კი — სუკის თავმჯდომარის“. ეს ეპიზოდი მამამ პენსიაზე ყოფნისას გვიამბო. 1960 წელს ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირში 30 ათასი ეკლესია დახურა. მან ანტიქრისტიანული აქცია პირველად თავის სამშობლოში — უკრაინაში განახორციელა: სუმსკის ოლქში მდებარე სამონასტრო კომპლექსი — გლინსკის მონასტერი დახურა, ღვთისმსახურები კი დაარბია და განდევნა. ისიც ცნობილია, რომ ხრუშჩოვის და, ძმისა და საერო ცხოვრებისგან გარიდებული, უკრაინის ამ მონასტერში მონაზვნად ყოფილა აღკვეცილი. ეკლესიის დარბევის შემდეგ მონაზონ დას თავისი ძმისთვის ასეთი სიტყვებით მიუმართავს: „ნე ზრია ოტეც გოვორილ, შტო ტი დურაკ, ნიკიტა!“ რა ბედი ეწია ხრუშჩოვის მონაზონ დას, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, გლინსკის მონასტრიდან დევნილ ბერ-მონაზვნებს საქართველოსკენ გამოუწევიათ. ერთ-ერთი დევნილი ღვთისმსახური, მამა ზინოვი, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ეწეოდა საღვთისმსახურო მოღვაწეობას და მალე მიტროპოლიტიც გახდა. სწორედ მამა ზინოვიმ აღკვეცა ბერად საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე.

**პარტიზანული გეგმები და გამწარებული ხრუშჩოვი**

სტალინის გარდაცვალების შემდეგ მეტროპოლიტენის მშენებლობა შეწყვიტეს და მაღაროების ამოვსება დაიწყეს. ვასილ მჟავანაძის მეცადინეობით, მივაღწიეთ იმას, რომ გვირაბები კი არ ამოგვევსო, არამედ, გამოგვეყენებინა, როგორც თავდაცვითი საშუალება. გაფორმდა მაღაროების დაკონსერვება და ამისთვის თანხები გამოიყო, სინამდვილეში კი მეტროს მშენებლობა მიმდინარეობდა და 1966 წლის 11 იანვარს პირველი რიგი გაიხსნა: „თავისუფლების მოედანი“ — „ვაგზალი“. რაც შეეხება სპორტის სასახლეს, მაშინ აშენდა, როდესაც ხრუშჩოვმა მთელ საბჭოთა კავშირში აკრძალა სპორტული და კულტურული ობიექტების მშენებლობა. ამიტომაც, სპორტის სასახლე ცოტათი მიწაშია ჩასმული, რათა ძალიან თვალში საცემი არ ყოფილიყო — ეს საგანგებოდ გაკეთდა. ხრუშჩოვი 1961 წელს ჩამოვიდა საქართველოში და სპორტის სასახლეც დაათვალიერა. მოგეხსენებათ, სპორტის სასახლის შესასვლელი და კიბეები მარმარილოსი გახლავთ. ხრუშჩოვს რომ არ შეემჩნია მარმარილოს კიბეები, შავად შეღებეს, მაგრამ, ვის მოვატყუებდით — ხრუშჩოვს ისეთი თანაშემწეები ჰყავდა, უმალ შენიშნეს და მოახსენეს კიდეც. სტადიონის მშენებლობაც პარტიზანულად განხორციელდა: გავიტანეთ პროექტი კაპიტალური რემონტის ჩატარებაზე, რისთვისაც ორი მილიონი მანეთი გამოგვიყვეს, მაგრამ, ძველი სტადიონი, ფაქტობრივად, დაინგრა და აშენდა ახალი, რომელიც 9 მილიონი მანეთი დაჯდა. რა თქმა უნდა, ახალი სტადიონის აშენება ცენტრს არ გამოჰპარვია და ეს საკითხი ოცდამეორე ყრილობაზე ხრუშჩოვის მოხსენებაში იყო შეტანილი, მაგრამ, მჟავანაძემ დაურეკა მას, ვინც მოხსენებას წერდა და ეს თემა საერთოდ ამოიღეს. ამ საქმემ მსუბუქად ჩაიარა“.

**ნინა მჟავანაძე**

# ერს თავისი ისტორია იცავს

**ვინ და რატომ ცდილობს კოლხეთის კვალის წაშლას – კულტურის, სულიერების სიმბოლოების მოსპობას? – ვინც ამას აკეთებს, ან უგუნური მოკეთეა, ან – ჩასაფრებული მტერი. რატომ, როდემდე? *ფირნიში-სამეგრელოს მოედანი, მავანმა გადაჭრა***



ისტორია ერის ფესვებია, მისი სიმაღლეც, სიდიადეც, ღირსებაც აქედან იწყება. ერს თავისი ისტორია იცავს და ვინც პატივს არ მიაგებს წარსულს, წინაპრებს – კვდება.

კოლხეთი რომ ცივილიზაციის სათავეა, მსოფლიომ გაიგო და ჩვენ რით ვერ გავიგეთ? ფაზისი რომ დღევანდელ ფოთში იყო ჰეროდოტემ და სტრაბონმაც ზუსტად მიანიშნეს – ქალაქი ზღვას, ტბასა და მდინარეს შორის. მაგრამ არ იჯერებს მავანი – ხანაც – ვანიაო, ხანაც – არქეოპოლისი, ხან – ბათუმი, გონიო, რუსები ამტკიცებენ სოჭი იყოო. (კიდევ კარგი ქართული ქალაქია), მაგრამ ვერ გაგვიგია, ჩვენ რა მოგვივიდა ფოთელებს? მაინდამაინც იმ 1 %-იან საეჭვოობას რომ ვენდობით-ფოთი არ იყოო ფაზისი, და ამას ყოფილი ხელმძღვანელი მუშაკებიც იზიარებენ, მავანთა ხათრით თუ სხვა მიზეზით. ან შურით სხვამ როგორ დაგვასწროო ისტორიული სახელის მინიჭების მოთხოვნა. არადა, როგორც აღვნიშნე, ისტორია რომც არ გქონდეს უნდა გამოიგონო, როგორც ამას აკეთებენ ჩვენი მეზობლები.

კოლხურ-ფაზისური კვალის წაშლა კარგახანია დაიწყო ფოთში. ჯერ „ფაზისის" აკადემიის შენობა (სამხატვრო გალერეა პარკში) დაწვეს და გაანადგურეს. მედეას ძეგლი სადღაც გაქრა. ცნობილი მოგზაურის ტიმ სევერინის ექსპედიციის – „არგონავტების ნაკვალევზე", პატივსაცემად საზღვაო ვაგზალთან აგებული „არგოს" ტიპის შენობა დაანგრიეს. ცნობილია, რომ სევერინი ბათუმში – როგორც ვითომ ფაზისში არ გაჩერდა და მდინარე რიონში – ძველ ფაზისში შემოვიდა, რომელიც სანაოსნო არტერია იყო და ასეთი დიდი მდინარე საქართველოში არსად არ არის. ამიტომაც ფაზისი აქ მოიაზრებოდა. ამ დიდ მოგზაურსა და მეცნიერს ეს არ შეშლებოდა და ვანელებსაც არ დაეთანხმა ფაზისქალაქობაზე. ალბათ, გახსოვთ ქალაქის შემოსასვლელში ოქროს საწმისის ემბლემა, ისიც გააქრეს და მარტივად მიაწერეს – ფოთი. შემდეგ ვიღაც, რახან ფოთი არააო ფაზისი, უფრო შორს წავიდა, და დაიჩემა – იგი არც სამეგრელოს ნაწილიაო – არადა, ვინ გაგვყო, – იგი ხომ სრულიად საქართველოს კუთვნილებაა – ოდითგან ევრაზიის ფორფოსტი. ამდენი შესავალი იმიტომ დაგვჭირდა, რომ შემდგომმა მოვლენებმა ეს დაადასტურეს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქვეყანა არეული იყო და სულიერებისთვის არავის ეცალა, მაშინდელი ქალაქის მერის, ამჟამად „ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის ნუგზარ ნადარაიას ინიციატივით სამეგრელოს ისტორიულ მოედანზე დიდი ხელოვანის, ელგუჯა ამაშუკელის უკვდავი ქმნილება – საქართველოს ზნეობრივი გმირის, ცოტნე დადიანის მონუმენტური ქანდაკება დაიდგა და შეგვახსენა მაღალი, ღვთაებრივი, ზნეობრივი ღირებულებები, კაცთმოყვარეობა, სამშობლოსა და მეგობრისათვის თავგანწირვა, გულადობა და სიმამაცე. მახსოვს, ისეთი ამბავი ატეხეს, გეგონებოდა ყაენის ძეგლს დგამდნენ. ეს დიდებული ძეგლი და ისტორიული ფირნიში – სამეგრელოს მოედანი, მავანს დღემდე არ ასვენებს. ძეგლს ვერაფერი მოუხერხეს, მაგრამ წარწერას ლამის ათჯერ დააჯახეს მანქანა (სავარაუდოდ სატვირთო), ბოლოს გადაჭრეს და რიონში გადააგდეს. იმათ იციან ისტორია და მის გაუკუღმართებას, წაშლას ცდილობენ. რატომ, რისთვის, ამის განჯა მკითხველისთვის მიგვინდია. სამწუხაროდ, ზოგისთვის კიდევ – ფირნიში – სამეგრელოს მოედანი უბრალო წარწერაა და სხვა არაფერი. ასე მარტივად. მაგრამ მის უკან ხომ დიდი წარსული დგას, ისტორია შენი ჯიშის და ჯილაგის, რომელიც გახსენებს იმას, რომ კოლხური ენა – მეგრული ენა, როგორც ქართულის წინარე ენა სამყაროს საიდუმლოებებს ინახავს დასაბამიდან. უფრო ადრინდელს, ვიდრე შუმერები, ეგვიპტელები, ბერძნები. წაიკითხეთ დიდი ივანე ჯავახიშვილის ნარკვევები, გაეცანით ბერძნულ-რომაულ წყაროებს, სადაც გასაგებად წერია, რომ კოლხეთი მსოფლიო ცივილიზაციის სათავეა, უძველესი ენით, დამწერლობით, კულტურით, ფულის ნიშნებით – კოლხური თეთრი, ლითონწარმოება და ა. შ.

რაც შეეხება,ფოთში სამეგრელოს მოედანს, ეს სახელწოდება შემორჩენილია მე-18 საუკუნის უნიკალურ რუკაზე, რუსებმაც კი არ წაშალეს ეს კვალი. მოედნისათვის სახელწოდების მინიჭების ცერემონიალზე ცნობილმა მესაქონლეებმა კვარაცხელიებმა აქედან აჭარის განთავისუფლებისათვის ომში მიმავალ რუსის ჯარს 300 ხარ-კამეჩი გადასცა. რუსებმა თურქები განდევნეს საქართველოს ძირძველი მიწიდან. სხვა საკითხია მისი სტრატეგიული ინტერესები საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში, მაგრამ შენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის გაწეული ამაგი არ უნდა დაუკარგო. ამ ფონზე გაუგებარია რა მიზანს ისახავს ისტორიის უარყოფა, მით უფრო აქ ლაპარაკი არაა მოედნისათვის რუსული სახელწოდების მინიჭებაზე, რაც საკმარისად იყო, თუნდაც ფოთში.

მეგრელთმოძულეობა არახალია, ერთდროს იგი აყვანილი იყო სახელმწიფო რანგში. ცხადია, მსგავს მოვლენებთან არა გვაქვს საქმე, მაგრამ მერკანტილური მიზნები, კუთხურობა და სიძულვილი აშკარაა. ამის ჩამდენი ან უგუნური მოკეთეა ან ჩასაფრებული მტერი. რატომ, როდემდის?

ერი, რომელიც წარსულს ივიწყებს – კვდება. წარსულის უგულებელყოფის მაგალითები სხვაგანაც ბევრია, – კულტურის, სულიერების, სიმბოლოების, ძეგლების გადატან-გადმოტანა და აფეთქება და ა.შ.

შესაბამისმა სამსახურებმა მეტი სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ და ამ „უბრალო" ფირნიშის მიღმა დაინახონ სამეგრელო თავისი დიდი წარსულით, დღევანდელობითა და მომავლით, რომელიც, როგორც დიდი ილია იტყოდა იყო, არის და იქნება საქართველოს ხერხემალი.

**ზ. აბრალავა,**
**გაზეთ „ნიკოლაძის გზით" რედაქტორი**

# გურამ შარაძე – საზოგადოება დღემდე ელოდება სამართალს!



20 მაისს, 10 წელი შესრულდა იმ ავად სახსენებელი დღიდან, როდესაც ვაი ქართველმა ნაცისტებმა, დღისით, მზისით, შუა ქალაქში, შანიძისა და მელიქიშვილის ქუჩების შესაყარზე, მუხანათურად დახვრიტეს შესანიშნავი მოქალაქე და მამულიშვილი, აკადემიკოსი გურამ შარაძე, რომელსაც არ აპატიეს სამშობლოს უზომოდ სიყვარული!

ცნობა ბატონი გურამის დახვრეტის შესახებ უმალ გავრცელდა მთელ ქალაქში. მისი უსულო გვამი დიდი ხნის მანძილზე იყო ასფალტზე, სუდარა გადაუფარებელი, რაც, მათი გათვლით იყო ხალხის დაშინების მიზნით განპირობებული, მაგრამ ამით მიზანს ვერ მიაღწიეს!

ათი წელი გავიდა იმ უბედური დღიდან. ქვეყანას ნორმალური პატრონი, რომ ჰყავდეს, ბატონი გურამის და ბევრი გახმაურებული მკვლელობის საქმე იქნებოდა დღემდე გამოძიებული და დამნაშავეები სათანადოთ დასჯილნი, მაგრამ მაგის ბედი ჩვენ, ქართველებს ვინ მოგვცა?! ამ ათი წლიდან, რაც ეს მუხანათობა ჩაიდინეს ნაცისტებმა, მეხუთე წელია ქვეყანას მართავს „ქოცების" ხელისუფლება, რომელმაც ვერა და ვერ მოახერხა (თუ არ მოახერხა) ბატონი გურამის მკვლელობის საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანა! ასევე, ვერ მიიყვანა ბოლომდე, საქართველოს, კანონიერად არჩეული ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი პრეზიდენტის საქმე, რომელიც, ქოცებო, ძალიან არ გეხატებათ გულზე, როგორც არაოფიციალურად არის გაჟღერებული. ალბათ საქართველოს პროკურატურა დააყენებს საშველს და ოფიციალურად წაუყენებს ბრალს იუდა შევარდნაძეს (სიკვდილის შემდეგ), რომლის დავალებითაც იქნა დახვრეტილი პრეზიდენტი და დაასრულებს ბატონ ზვიად გამსახურდიას საქმეს! მინდა ვკითხო ბატონი ივანიშვილის, ღრმა ანალიზის(?!) შედეგად, ქვეყნის სამართავად მოვლენილ, ხელისუფლებად წოდებულ ადამიანებად(?) რაცხულ სუბიექტებს, იმ შემთხვევაში (ამჯერად ქართველებს ეხება) თუ ქართველები ხართ, რამ შეგაძულათ ამდენ ჭირვარამ გამოვლილი საქართველო, ასე მწარედ? ყველაფერს, რომ აკეთებთ მის საწინააღმდეგოდ და დასაკნინებლად? მართალია სამშობლოდ არ მიგაჩნიათ, მაგრამ მისი სიკეთეებით ხომ სარგებლობთ!? ამიტომ ვალდებულები „ბრძანდებით", პატივი სცეთ საქართველოს, ყველა ვინც საქართველოში ცხოვრობთ, საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, არა იმ კონსტიტუციის, რომლის მიღებასაც აპირებთ ქოცებო, არამედ იმ კონსტიტუციის საფუძველზე რომელსაც მიიღებს საქართველოს მოყვარული და პატივისმცემელი ქართველი და არა ქართველი მოსახლეობა!!!

მეოცე საუკუნის დაწყებიდან მეშვიდე წელს მოკლეს საქართველოს უგვირგვინო მეფედ აღიარებული და წმინდანად შერაცხული, დიდი ილია ჭავჭავაძე, ილია მართალი!

მეოცე საუკუნის დასრულებამდე შვიდი წლით ადრე მოკლეს საქართველოს, კანონიერად არჩეული პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია!

ოცდამეერთე საუკუნის დაწყებიდან მეშვიდე წელს მოკლეს შესანიშნავი მოქალაქე და მამულიშვილი, აკადემიკოსი გურამ შარაძე!

მსუბუქი იყოს მათ მკერდზე დაყრილი, ქართველების სისხლით გაპოხიერებული ქართული მიწა!

აი, ეს მიწა არ უნდა გაიყიდოს არავისზე, განურჩევლად ეროვნებისა, სოციალურ-პოლიტიკური და მოქალაქეობრივი წარმომავლობისა!!!

აქვე მივმართავ ქ.თბილისის მერს, ბატონ დ. ნარმანიას! ბატონო მერო, იქნებ ჩაიდინოთ სასწაული და ბატონ გურამის დაბადების დღისათვის, 17 ოქტომბრისათვის, იქ სადაც მოხდა ეს უდიდესი ტრაგედია, შანიძისა და მელიქიშვილის ქუჩების შესაყართან გააკეთოთ მემორიალური დაფა, შესაბამისი წარწერით! დარწმუნებული ვარ, არც თქვენი და შესაბამისად არც თბილისის ბიუჯეტი არ დაზარალდება დიდად! არაფერი გიჭირთ, ცოტა მოიჭირეთ ქამრები!

პატივისცემით, მარად, უანგაროდ საქართველოს კეთილდღეობისათვის მლოცველი,

**ანზორი დანელია,**
**ქ. თბილისი**

**"ილორის" კომენტარი – მიამიტი უნდა იყოს ადამიანი იფიქროს იმაზე, რომ ნაციონალები და მათი დაშნაკი მეთაური სააკიანცი როდისმე მოინანიებენ ქართველი ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულს და ბოდიშს მოიხდიან ქართველი ერის წინაშე. ჩვენ თავად უნდა ვაზღვევინოთ ამ არაკაცებს იმ მამულიშვილთა სისხლი, რომელიც დაუნანებლად დაღვარეს ნაციონალმა კანიბალებმა!**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ვლადიმერ ბარქაიას მოგონებებიდან...



1963 წელს, როცა სლავა მეტრეველი მოსკოვის „ტორპედოდან" ჩვენთან გადმოვიდა, გუნდმა ტაქტიკური განლაგება შეცვალა – 4-2-4-ით ავთამაშდით. მეტრეველი „დინამოში" ძმების ოთარ და ირაკლი ლაზიშვილების ძალისხმევის შედეგად მოვიდა. ლაზიშვილებს ძალიან უყვარდათ „დინამო", შეძლებულებიც იყვნენ და ფეხბურთელებს დიდად გვეხმარებოდნენ. მათი „მოლაპარაკება" სლავასთან თითქმის ერთ წელიწადს გაგრძელდა!

ჩვენ დროს იცით როგორი ბუცები გვეცვა? „შიპები" ლურსმნებით იყო ჩამაგრებული, რომელიც ხშირად ტერფებში გვერჭობოდა! ახლანდელ ბუცებს ვერც შევადარებ იმას, რაც ჩვენ გვეცვა – როგორც ცა და დედამიწა, ასეთი სხვაობაა. ჩვენ დროს ბუცი რომ დასველდებოდა, ლამის ორ კილოგრამს იწონიდა! წვივსაფრებს არ იკითხავთ? ბამბუკისგან იყო დამზადებული, ბურთები კი, მტრისას, თუ წვიმაში თამაში გიწევდა – თავით რომ გეთამაშა, ტვინის შერყევა გამოწერილი გქონდა...

ერთ ისტორიას მოგიყვებით: მორიგი თბილისური მატჩის შემდეგ, რომელშიც გივი ჩოხელმა არცთუ კარგად ითამაშა, მთხოვა მამაჩემი სახლში წაიყვანეო. ჩავისვი ბატონი დიმიტრი მანქანაში და ეს მოქეიფე, ორმეტრიანი კახელი კაცი გზაში მეუბნება: შენ ძმაკაცს უთხარი, ფეხბურთს თავი დაანებოსო. რატომ-მეთქი, ვკითხე. კაცო, ერთი ცოლი მყავს და დღეს მთელმა სტადიონმა გინებით ზედ გადაუარაო...

ვოინოვთან დაკავშირებული ამბავი? კი, იყო ასეთი რამ. საერთოდ, ის წესიერი, ინტელიგენტი კაცი იყო და ჩინებულადაც თამაშობდა, არ იყო „ბინძური" ფეხბურთელი, მაგრამ შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატიდან მცირე ხანში, როცა მინდორზე შევხვდით, ზედიზედ „მომცელა". კორექტული მოთამაშე იყო, მისგან ასეთ რამეს არ ველოდი და ხუმრობით ვკითხე, რა გვარი ხარ, ადრე რომელ გუნდში თამაშობდი-მეთქი? იუმორს ვერ მიმიხვდა, ხასიათი წაუხდა და თანაგუნდელს, ყოფილ თბილისის დინამოელს იურა გრამატიკოპულს გასძახა: „იურა, ბარქაია რა, არ მიცნობს ვინ ვარ?!" ამასობაში მსაჯიც მოვიდა და იმასაც ხუმრობით ვკითხე, თუ შეიძლება მითხარით, ეს ნომერი ხუთი ვინაა, შარშან სად გამოდიოდა-მეთქი? გაოცებული არბიტრი ისე დაიბნა, ჯარიმა ჩვენს საწინააღმდეგოდ დანიშნა. ამ მომენტის მერე ვოინოვი გონს ვერ მოეგო.

საბჭოთა კავშირის ნაკრებში პირველად 1965 წელს, დანიასთან მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის მიხმეს – ნიკოლაი მოროზოვმა თავდასხმაში მე, მიშა მესხი, სლავა მეტრეველი და მოსკოვის ტორპედოელი ვალენტინ ივანოვი დაგვაყენა. 6:0 მოვიგეთ, მე კი 2 გოლი გავიტანე! კარგად ვითამაშე და მოროზოვმა გუნდში დამტოვა – ზუსტად ერთ კვირაში მოსკოვში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ბრაზილიის ნაკრებს ვხვდებოდით...

1965 წელს ბრაზილიელებმა პრაქტიკულად საუკეთესო შემადგენლობა ჩამოიყვანეს: ჯალმა სანტოსი, ჟერსონი, ჟაირი, გარინჩა და რა თქმა უნდა პელე! ამ გუნდის დამარცხება, ფაქტიურად წარმოუდგენელი იყო – ჩვენ, ფეხბურთელები იმითაც ბედნიერები ვიყავით, რომ მათ წინააღმდეგ გავდიოდით მოედანზე.

პელე? მისი გამჩერებელი არავინ იყო: იმ შეხვედრაში თავად ხომ შეაგდო, ერთიც ფლავიოს გაატანინა. ბრაზილიელებმა ის თამაში 3:0 მოიგეს. ჟორა სიჭინავა პელეს მეურვეობდა, პირველ ტაიმში კუდში დასდევდა და ამიტომ, არ ჩანდა. ვუყურე, ვუყურე და გავძახე: „ჟორა, შეეშვი მაგ კაცს, მაინც ვერ დაიჭერ, შენ თამაშს მიხედე-მეთქი"! დამიჯერა და მართლაც, ამის მერე უკეთ ათამაშდა, ორჯერ ძალიან სახიფათოდაც დაარტყა – ერთხელ მანგამ აუღო, მეორედ ხარიხას მოარტყა ბურთი.

ვინ არის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი? პელე, ის შეუდარებელი იყო! სანამ მის თამაშს ცოცხლად, საკუთარი თვალით ვნახავდი, მეგონა რომ ფეხბურთის რამე გამეგებოდა, მაგრამ რაც მაშინ მოსკოვში, ლუჟნიკებზე ვიხილე, ამის აღწერა შეუძლებელია – პელე ზღაპრული იყო!

ერთხელ ზაარბრიუკენში ვეტერანთა მატჩი გაიმართა. ერთ-ერთ გუნდს ალფრედო დი სტეფანო „წვრთნიდა". მატჩის შემდეგ ბანკეტზე მეც მიმიწვიეს და რამდენიმე წუთით დი სტეფანოს გავესაუბრე. მისეული მსოფლიოს 3 საუკეთესო ფეხბურთელის ჩამონათვალი ასეთი იყო: გარინჩა, დიეგო მარადონა და პელე.

ფეხბურთს თავი 1967 წელს დავანებე. იმ დროს მენისკიც მაწუხებდა და სანამ ტრიბუნები სტვენას დამიწყებდნენ, წასვლა გადავწყვიტე – 29 წლის ვიყავი. მაშინ „დინამოს" ვიაჩესლავ სოლოვიოვი წვრთნიდა, რომელმაც ერთ-ერთ მწვრთნელად დამტოვა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთიდან წასული ვიყავი, 1968 წელს, როცა გუნდი აზიურ ტურნეში წავიდა, ორ მატჩში მეც ვითამაშე და გოლებიც გავიტანე.

გუნდში მიშა მესხთან და სლავა მეტრეველთან გამორჩეულად ვმეგობრობდი. ჩვენი ურთიერთობა „დინამოს" შემდეგაც გაგრძელდა – ხშირად, როცა თბილისში ჩამოვდიოდი, მიშას სახლში ვჩერდებოდი, მერე სლავაც მოდიოდა და იყო ერთი ქეიფი და დროსტარება. ცხადია, ფეხბურთზეც ვსაუბრობდით. „დინამოდან" ნაადრევად წასვლა ყველას გულს გვტკენდა, მაგრამ ყველაზე ძალიან ამაზე მაინც მიშა დარდობდა – ის ხომ აიძულეს „დინამოდან" წასულიყო.

მიშა გულიანი კაცი იყო, პირდაპირი. თავისებური იუმორი ახასიათებდა და ვიწრო წრეში უყვარდა მოლხენა. უცნაური ნიჭი ჰქონდა – ეგრევე ხვდებოდა, რა კაცთან ჰქონდა საქმე. თუ იტყოდა, ცუდი ადამიანიაო, მალე ყველა რწმუნდებოდა ამაში... სლავა უყვარდა გამორჩეულად! ხუმრობდა – სლავას სახინკლე აქვს, მაგრამ მაინც ჩემთან მოდის სასადილოდო...

სლავა ძალიან თავმდაბალი კაცი იყო, ალკოჰოლური სასმელი არ უყვარდა და თუ შესვამდა, მხოლოდ ორ ჭიქას. უყვარდა თეატრი, ხშირად ესწრებოდა სპექტაკლებს. ერთი ხანობა მწვრთნელობა გადაწყვიტა, მაგრამ ვერ გაძლო და შეეშვა – ზედმეტად პატიოსანი და ალალი იყო ამ საქმისთვის. ერთი პერიოდი სასტუმრო „აფხაზეთის" დირექტორი იყო, მაგრამ მოხსნეს. წლების შემდეგ, როცა მატერიალურად გაუჭირდა, კახი ასათიანმა გაუწოდა დახმარების ხელი. სხვებიც ეხმარებოდნენ: კოტე სალია, ბენო ლაბარტყავა, ოთარ ცინცაძე. სლავას ცნობილი სახინკლე 90-იანების დასაწყისში, თბილისის ომის დროს დაწვეს...

მესხის გარდაცვალება სლავამ ვერ გადაიტანა და მალე ექიმებმა მასაც მძიმე დიაგნოზი დაუსვეს – ტვინის დაავადება. სიცოცხლის ბოლო წლებში მეტრეველი გულგატეხილი იყო, საჭმლის ფული უჭირდა. მისმა ვაჟმა სერგეიმ თბილისში სამსახური ვერ იშოვა და სოჭში გადავიდა. გეცოდინებათ, სოჭის მთავარი სტადიონი დღეს სლავა მეტრეველის სახელობისაა.

გაგრაში ზაფხულობით ხშირად ჩამოდიოდნენ ვეტერანი ფეხბურთელები. ლევ იაშინთან და ედუარდ სტრელცოვთან ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას ვმეგობრობდი და ეს ურთიერთობა არც შემდეგ წლებში შეგვიწყვეტია. ფეხის ამპუტაციის შემდეგ პირველად რომ ჩამოვიდა გაგრაში იაშინი, თავი ვერ შევიკავე, ცრემლი მომადგა: დავინახე ტრაპზე მეუღლის დახმარებით ჩამოდიოდა და ზურგი ვაქციე, მან კი იფიქრა, რომ ვერ ვიცანი და თავად გამომძახა, სიომა, რა იყო კაცო, ძველ მეგობარს ვერ ცნობო. არაფერი შევიმჩნიე, მაგრამ ძალიან დამწყდა გული. იაშინს თევზაობა განსაკუთრებით უყვარდა – ჟორა სიჭინავას და მე ხშირად დაგვყავდა მდინარე ბზიფის ხეობაში და რიწის ტბაზე სათევზაოდ...

1992 წლის 14 აგვისტოს თბილისში საქმეზე გადმოვფრინდი. ეგ იყო და ეგ – მას შემდეგ გაგრაში ფეხი აღარ დამიდგამს. ცოტა ხანში გავიგე, რომ ჩემს სახლში ვიღაც სილაგაძე შესულა. არ ვიცი ახლა რა დღეშია ჩემი სახლი, ვცდილობ ამაზე არ ვიფიქრო, მაგრამ არ გამომდის. როგორია, ერთ დღეში რომ დაკარგავ ორ სახლს სოხუმსა და გაგრაში?!

როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საკავშიროს გამოეყო, ჩემი აზრით, სწორი იყო. ადრე თუ გვიან, ეს მოხდებოდა. სამწუხარო ის კი არაა, 1990 წლის დასაწყისში რომ გადავწყვიტეთ დამოუკიდებლად სვლა, გულსატკენი ისაა, მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე რომ გავიდა და დღემდე კეთილმოწყობილი მოედნები რომ არ გვაქვს!"

## სპეციალური განცხადება

**როგორც ცნობილი გახდა, "ილორს" შეექმნა ფინანსური პრობლემები, რამაც გამოიწვია მისი გამოცემის პერიოდულობის გაზრდა. როგორც თქვენთვის კარგად არის ცნობილი, გაზეთი არ ტოვებს ყურადღების გარეშე არც-ერთ საჭირბოროტო საკითხს, ის მუდამ ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში იმყოფება! მან დაიმსახურა მკითხველი საზოგადოების პატივისცემა და დიდი სიყვარული! ამიტომ მოგმართავთ თხოვნით და შემომაქვს წინადადება, რათა, ჩვენ მკითხველი საზოგადოება დავუდგეთ გაზეთს გვერდში და ვისაც რის საშუალება გვექნება, გავუწიოთ ფინანსური დახმარება!**

**მსურველებისათვის ასევე განვათავსებთ რეკლამებს შეღავათიან ფასებში,**

**ამისათვის გთავაზობთ საბანკო ანგარიშს, რომელზეც შესაძლებელი იქნება, ნებისმიერი მსურველის მიერ, ნებისმიერი თანხის ჩარიცხვა! ნათქვამია: „კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების". ასე, რომ ჯერი ჩვენზეა!**

**პატივისცემით,**

**ანზორი დანელია**
**ტელ. 571 22 66 34**

**საბანკო ანგარიში:**
**ს.ს „ლიბერთი ბანკი"**
**ანგარიშის ნომერი: GE79LB0711188020717000**
**ანგარიშის ვალუტაში: GEL / USD / EUR – მულტი სავალუტო ანგარიში**
**მფო: 220101480**
**მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"**
**ი. ჭავჭავაძის გამზირი 74**
**თბილისი, 0162, საქართველო**
**მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22**
**ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია**

**იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ჩანაფიქრს უწერია განხორციელება და მგონი კეთილი ხალხის ნაკლებობას საქართველო არ განიცდის, მინდა წინასწარ განვაცხადო: ჩვენი საქველმოქმედო აქციის დაწყებიდან, ყოველი სამი თვის გასვლის შემდეგ, გაზეთის ფურცლებზე, თანხის შემომწირველთა თანხმობის შემთხვევაში, ჩემს მიერ იქნება წარმოდგენილი სრული ინფორმაცია თანხის შემომწირველებისა და შემოწირული თანხის ოდენობის შესახებ!**

## „გალ" ტვ მაყურებელს მეგრულ, აფხაზურ და რუსულ ენებზე ესალმება

გალის ადგილობრივი ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვების „კვირის მოვლენები" წამყვანი მაყურებელს სამ – აფხაზურ, რუსულ და მეგრულ ენებზე ესალმება. საინფორმაციო გამოშვების ქუდი რუსულენოვანია. რეპორტაჟების ტექსტიც ასევე რუსულ ენაზეა მომზადებული, სადაც კომენტარებს მეგრულადაც მოისმენთ. ჟურნალისტი მაყურებელს აფხაზურ და მეგრულ ენებზე ემშვიდობება.

„გალ ტვ" მაისის თვიდან ამოქმედდა და რაიონში კვირის განმავლობაში მომხდარ მოვლენებს აშუქებს, მათ შორის როგორიცაა თხილის შეწამვლის სამუშაოები, დე ფაქტო ადმინისტრაციის სხდომები და სტიქიის შედეგად შექმნილი პრობლემები. საინფორმაციო გამოშვებებში შეხვდებით სიუჟეტებს ისეთ თემებზეც, როგორიცაა ბედნიერება და ამ მდგომარეობის აღქმა გალის მცხოვრებლების მიერ.

## იუმორი

**– მივედი გუშინ სახლში და ვხედავ – ჩემი ცოლი ვიღაც მეგრელთან კოტრიალობს, – ამბობს კაცი.**
**– რა იცი, რომ მეგრელი იყო?**
**– რაღაც მითხრა მეგრულად.**
**– მერე, შენ რა უთხარი?**
**– რა უნდა მეთქვა, ერთი სიტყვაც კი არ ვიცი მეგრული.**

* * *

**სვანს ქუჩაში ხვდება ნაცნობი, ცოლთან ერთად.**
**– გაიცანი, ეს ჩემი მეორე ნახევარია.**
**– პირველი ნახევარი რაღა უყავი? – გაუკვირდა სვანს.**

* * *

**გურული ცოლს ირთავს. სასიდედრო პირობებს უყენებს:**
**– ჩემი ქალიშვილი რომ შენი ცოლი გახდება, შენ უნდა რეცხო სარეცხი, ხეხო იატაკი, ამზადო სადილი, რეცხო თეფშები...**
**– მერე, ერთადერთ ქალიშვილს ასეთ იდიოტს ატან?**



სასწაულმოქმედი პრეპარატები "დომენტოლი" და "გაგენოლი" მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში

*დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.*

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge